საქართ. შეშარც. ხოც.-ფედ. პარტია

ტფილისი

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ცრიგუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
redakcia და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 60,000 მან. ერთჯერადი
4 „ 50,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 438 ხუთშაბათი, აპრილის 5 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

განცხადება

ხუთშაბათს, აპრილის 7-ს, ხალამოს 6 საათზე

სახალხო სახლში

შეჯდგება საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგშია მოხსენება პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ და საბინაო საკითხი.

№ 313—2—2 **პრეზიდიუმი.**

ერის იოვიათ შვილის ხმოვნას

ათმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა იშვიათ ნიჭით და გენიოსური აზროვნებით დაჯილდოვებული ადამიანი არჩილ ჯორჯაძე.

გაივლის კიდევ მრავალი ათეული წლები და გათვიცნობიერებული, ეროვნულად თავისუფალი, კულტურულად ამაღლებული მშრომელი ხალხი საქართველოსი ქება-დიდებით მოიხსენიებს დიდებულ მოაზროვნეს, რომელმაც ბურუსში გახვეული, მიძინებული ქართველი მშრომელი ხალხი გამოაღვიძა საღათას ძილისაგან.

არჩილი გამოჩნდა, როგორც მანათობელი ვარსკვლავი იმ დროს, როდესაც თვითმპყრობელობის უღელ ქვეშ მწარედ გმინავდა მისი სამშობლო საქართველო და ამ უღელის სიმწვავეს მომეტებულ წილად მშრომელი ხალხი, მუშები და გლეხები, განიცდიდნენ.

თუ ჯალათური რუსეთის მეფის თვითმპყრობელობა მძიმე ლოდად აწვებოდა რუსის მშრომელ ხალხს, ქალაქის მუშებს და სოფლის გლეხობას და სოციალურად სჩაგრავდა, სამაგიეროდ ქართველი მშრომელი ხალხი ქალაქის მუშები და სოფლის გლეხები ორნაირ ჩაგვრას განიცდიდნენ როგორც სოციალურს, კლასობრივს, ისე ეროვნულს, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლებას, კულტურულ განვითარებას და სამართალს.

აი აქ იყო ისეთი ადამიანის გამოჩენა, რომელიც კლასობრივ ინტერესებს და ეროვნულ თავისუფლებას ერთმანეთს დაუპირისპირებდა და ისეთ ფორმას გამოსძებნიდა, რომელიც არ დააბნელებდა მშრომელი ხალხის კლასობრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას ნაციონალურის თავისუფლების იდეიის წამოყენებით.

სწორეთ აქ არის არჩილის დიადი გენიოსური ნიჭი, რომელმაც ერერეროვნული საკითხი ისეთ ფორმებში ჩამოაყალიბა, რომ მშრომელ ხალხს, არამც თუ არ შეუძლიან მისი მიღება, ეს აუცილებელიც არის, იმ მომავალი მიზნის მისაღწევად, რომელსაც სოციალიზმის სამეფო ეწოდება.

და განა შეუძლიან ისეთ ადამიანს ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის. ან ერს, რომელიც მოკლებულია თავისუფალ შემოქმედებას, ეროვნულ აღზრდას, კულტურას, სამშობლო ენით განვითარებას?

რასაკვირველაა არა.

არჩილი იმისათვის არის ბუმბერაზი იდეოლოგი, რომ მან ადრე იწინასწარმეტყველა და შეჰქმნა ისეთი ფორმა ეროვნულ იდეოლოგიაში, რომელიც ძირითად საფუძვლად დაედო რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას და რომლის მიზანიც არის მთელ მსოფლიოზე ამ ფორმის განხორციელება, როგორც საუკეთესო ფორმა ნაციონალურ შუღლის მოსასპობად და მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირის გასამტკიცებლად.

აი რას ამბობს, არჩილი:

„პრაქტიკულ პოლიტიკის ენით რომ ვილაპარაკოთ, უნდა ვსთქვათ, ჩვენ ვართ მომხრენი ეროვნულ ავტონომიისა, ავტონომიურ ერთა და პროვინციათა დაკავშირებისა, ერთის სიტყვით, ჩვენ ვაღიარებთ **ავტონომიურ ერთა ფედერაციასა**“. (წიგ. 1-ლ 84 გ.).

თუ დაწინაურებულ ქვეყნებში სიცოცხლეშივე სდაფნიან და შესაფერისად აფასებენ ისეთ ადამიანებს, როგორიც იყო არჩილ ჯორჯაძე ჩვენ, სამაგიეროდ ვაწამეთ, ვერ მიუხვდით დიდებულ აზროვნებას, ვერ ჩავწვდით მის გულს, რომ გვეგრძნო ის ცეცხლი, რომელიც ენთო დიადი იდეალების განხორციელებისათვის.

მთელი თავის სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის იბრძოდა არჩილი, რაც ეხლა უტყუარ ჭეშმარიტებად არის ბევრისთვის მიჩნეული.

აი როგორ მიმართავს არჩილი ძველად გაბატონებულ მენშევიკურ პარტიის ხელმძღვანელებს, რომელთაც ერი არაფრად მიაჩნდათ და უკიდურესი დამცველები იყვნენ ცენტრალიზმისა:

—„რას ჰკარგავთ! ჩვენს წარსულში თქვენ მარტოოდენ ბატონ-ყმობის და ფეოდალობის ინსტიტუტს ხედავთ; სულით და გონებით თქვენ არა ხართ დაკავშირებულნი არც ჩვენს ძველ მწერლობასთან, არც პოეზიასთან, არც ხუროთ-მრძღვრებასთან, არც მხატვრობასთან, არც მუსიკასთან, არც ისტორიულ და ფილოსოფიურ ნაწარმოებთან, არა ხართ დაკავშირებულნი ქართულ კულტურასთან და რა გასაკვირალია, რომ დღეს, ამ კულტურულ ტრადიციებს მოკლებულნი, შემთხვევით გამვლელ-გამოვლელ „გმირებს“ ეთაყვანებით, წარმავალ და უდღეო დოქტრინებს აღიარებთ, უშინაარსო და უსიცოცხლო ფორმულებს იცავთ“! (წ 1-ლ გვ. 61).

არჩილს არ სწამდა მენშევიკურ პარტიის ხელმძღვანელთა მშრალი დემაგოგია და პრაქტიკულის საზომით უდგებოდა ყოველთვის იმ ეროვნულ და სოციალურ ტკივილებს, რომელსაც განიცდიდა მშრომელი ხალხი საქართველოში.

არჩილი უალრესი დამცველი იყო მშრომელთა ინტერესებისა და ყოველთვის ამხელდა სოციალ-დემოკრატიის შემცდარ აზროვნებას, რომელნიც გვერდს უხვევდნენ მშრომელთა ხელში ძალა უფლების გადასვლას და გულმოდგინედ აკეთებდნენ მუშათა მტრების, ბურჟუაზიის საქმეს მშრომელი ხალხის ხელით.

ამის დამამტკიცებელი არის არჩილის წინასწარმეტყველება, რომელიც მოგვყავს:

„სოციალ-დემოკრატია არაფერს ზოგავს ბურჟუაზიულ რესპუბლიკის დაფუძნებისათვის! და არც ერთ სოციალ-დემოკრატს არ მოსდის თავში უბრალო აზრი, რომ ის ამ სახით ბურჟუაზიას ემსახურება და არა პროლეტარიატს“. (იხ. „ძველი და ახალი“ გვ. 15).

არჩილი ყოველნაირ საკითხს ფრთხილად უდგებოდა და სცდილობდა ისეთნაირად გადაეჭრა ის, რომ ყველასათვის მისაღები ყოფილიყო და კეთილი ნაყოფი გამოელო.

მას გათვალისწინებული ჰქონდა კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ერთა მრავალფეროვანება, ზნე-ჩვეულება, კულტურული სხვადასხვაობა, ამასთანავე მას აუცილებლად მიაჩნდა ამ მოსახლე ერთა ძმური კავშირი, შუღლისა და მტრობის მოსპობა, რომელიც დამღუპველია თვითეულისთვის და გამანადგურებელი.

და აი ამ კავშირისაკენ მოუწოდებდა ყველას.

„ავტონომია და ფედერაცია გვაინტერესებს დღეს, როგორც ეროვნული ცხოვრების მოწესრიგების და ინტერნაციონალურ ურთიერთობათა განმტკიცების ერთად-ერთი პრაქტიკული საშვალება. დღემდე არავის შეუმუშავებია არა მარტო კავკასიის ფედერაციის საფუძველნი, არამედ საქართველოს ავტონომიის საფუძველნიც კი“ (წ. 1 გვ. 84).

წინდაწინ იწინასწარმეტყველა არჩილმა, რომ თავისუფალ ერთა ფედერატიული კავშირით შეიძლება კავკასიის ერთა წინსვლა და კულტურული აღორძინება.

დღესაც ბევრს ვერ გაუგია არჩილის მაღალი აზროვნება, ნაციონალური საკითხი ბურჟუაზიულ საკითხად მიაჩნია და ინტერნაციონალს ხედავს ერების გათქვეფა-ასიმილიაციაში.

არჩილ ჯორჯაძის აზროვნებით კი მომავალი სოციალისტური ინტერნაციონალი ნიშნავს სოციალისტური ეროვნებათა თავისუფალ კავშირს.

ჩვენ, მშრომელ ხალხს, რასაკვირველია თვალს ვერავინ აგვიბავს იმ ნაციონალურის ზრახვ,ბით, რომლითაც გამსჭვალულია ჩვენი მოწინააღმდეგე ბურჟუაზიული ნაწილი და ხელს ვერ აგვაღებინებს ჩვენს კლასობრივ ბრძოლაზე. ჩვენ ამნაირი ნაციონალიზმი არა გვწამს. პირიქით ჩვენ, მშრომელი ხალხი, არ მივცემთ ნებას ნაციონალიზმით ივაჭროს ვინმემ და ჩვენ თვითონ ავიღებთ ხელში იმ დროშას, რომელზედაც წააწერა არჩილმა—**„ეროვნული გზით ინტერნაციონალისაკენ“**.

ახოთ-ამწყობი პ. ახალკაცი.

რადიო დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

გერმანიის პროტესტი.

ბერლინი. აპრილის 4. გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს გაუგზავნოს საფრანგეთის მთავრობას პროტესტი ესსენის კრუპის ქარხნებში მუშების მოკვლის წინააღმდეგ.

ჩვენ ეს უფრო ადრე ვიცოდით.

ბერლინი. აპრილის 4 საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ჰიუმანიტე“ სასტიკად აკრიტიკებს საფრანგეთის ჯარების მიერ ესსენის მუშებისათვის სროლის ატეხას და აცხადებს რომ ამის გათვალისწინება უფრო ადრე შეიძლებოდა.

ხაპროტესტო გაფიცვა.

ბერლინი. აპრილის 4 ესსენში კრუპის წარმოებების მუშა-მოსამსახურეებმა გაატარეს სამშაბათს 24 საპროტესტო გაფიცვა მუშების მოკვლის და დირექტორების დაპატიმრების წინააღმდეგ.

იტაცებენ ხალხის ფულებს.

ბერლინი. აპრილის 4. ბოხუმში ფრანგებმა მიითვისეს კომერციული ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში, კასის ფულების გარდა, ხაზინის განძეულობა.

ბურჟუაზიული მთავრობა თათბირობს პაპასთან.

ბერლინი. აპრილის 4. მიუნსტერიდან იტყობინებიან, რომ კვირას შესდგა ვესტფალაში და დიუსელდორფში მყოფ გერმანიის რწმუნებულების თათბირი პაპის წარმომადგენელთან ტესტთან, რომელიც დარჩება ესსენში დაახლოვებით 2 კვირით, რათა პაპის დავალებით დაწვრილებით გაეცნოს რურის მდგომარეობას. საუბარი შეეხებოდა რურის კონფლიქტს და მისი მოგვარების წესებს.

ამბების შემდეგ.

ბერლინი. აპრილის 4. კრუპის ქარხნის 4 დირექტორის დაპატიმრებასთან ერთად ფრანგები დაეძებენ კიდევ 2 დირექტორს, რომლებიც არ იმყოფებოდენ ესსენში მომხდარი ამბების დროს. გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა გრეცნერმა განუცხადა გენერალ დეგუტს პროტესტი საფრანგეთის სამხედრო წრეების სისასტიკის წინააღმდეგ და მოითხოვა წარსდგენ სამხედრო სასამართლოს წინაშე, რათა დაამტკიცოს თავისი მტკიცების სამართლიანობა.

გაუფრთხილებლად.

ბერლინი. აპრილის 4. ესსენში კრუპის ქარხნების მუშა-მოსამსახურეების საბჭომ ამბების დაწვრილებით გამოძიების შემდეგ სცნო, რომ მუშებისათვის სროლის ატეხა დაიწყო გაუფრთხილებლად. საბჭომ გამოიტანა პროტესტი საოკუპაციო ხელისუფლების სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ.

ინგლისის მოთხოვნილება.

ბერლინი. აპრილის 4. „ვესტმინისტერ გაზეტ“-ის ცნობით, ინგლისმა მიმართა საფრანგეთს თხოვნით, რათა აღდგენილი იქნეს რკინის გზის მიმოსვლა ლონდონ-კელნს შორის, რისთვისაც საჭიროა საფრანგეთის კონტროლის გაუქმება და ინგლისის საოკუპაციო ზონისათვის ფრანგების მიერ დაკავებულ რაიონებიდან ნახშირის, რკინის და სხვა ნედლი მასალების მიწოდება. ინგლისს განზრახული აქვს მოსპოს დაბრკოლებები პროდუქტების ინგლისში გასაგზავნათ.

უმიზეზოთ დახვრეტა.

ბერლინი. აპრილის 4. გაზ. „დეილი ქრონიკლი“ იხილავს რა ესსენის ამბებს, აღნიშნავს რომ ამ ამბების დროს ფრანგების მხრივ ერთი დაჭრილიც არ ყოფილა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ გერმანელები არავითარ საბაბს არ აძლევდენ ფრანგებს დაეხვრიტათ ვინმე და მაშასადამე ფრანგების ჩივილი, რომ ვითომც გერმანელი მუშები თავს ესხმოდენ მათ სიმართლეს მოკლებულია. რეიტერის სააგენტოს ესსენის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გერმანიის მუშების მხრივ არავითარ საწინააღმდეგო გამოსვლებს არ ქონია ადგილი.

უცხოეთი

ფაშისტური პროფკავშირების დაშლა.

მოსკოვი. 3 აპრილი. იტალიის ფაშისტურ პროფკავშირებში უკმაყოფილება იზრდება. ფაშისტურმა პროფკავშირებმა ტურინში გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია მწარმოებლების წინაალმდეგ, რომლებიც ცდილობენ გვერდი აუარონ რვა საათის სამუშაო დღის შესახებ გამოცემულ კანონს და შრომის ხელფასის შემცირებით გაადიდონ სამუშაო დდე. ტრიესტში, მონფალკბეს ქარხანაში ფაშისტურმა პროფკავშირმა გაფიცვა გამოაცხადა 25 მუშის დათხოვის გამო, რომლებიც ორ ლირაზე მეტს იღებენ საათში და მათ მაგიერ დაკლებული ხელფასში 60 ახალი მუშის მიღების გამო. გაფიცულ მუშებს შეუერთდნენ კანტორის მოხელეები.

ორ სკამზე ჯდომა არ შეიძლება.

მოსკოვი. 4 აპრილი. რომიდან იუწყებიან, რომ სოციალისტური პარტიის მილანის სექციაში დაიწყო გარჩევა კომპარტიასთან შეერთების საკითხისა. უნიონისტური კომიტეტის (სერატის მომხრეები) მიუთითებენ, რომ შეერობა უნოა იყოს სრულიად გულწრფელი, თითეულმა გ რკვევით უნდა განაცხადოს მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ და უდავოთ მიიღოს 21 მუხლი და აგრედვე კომინტერნის მეოთხე კონგრესის დადგენილებები. იტალიაში არ არის პირობები დამოუკიდებული სოციალისტური პარტიის არსებობისათვის და სოციალისტებისათვის არსებობს მხოლოდ ორიგზა—ან რეფორმისტებთან ან რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ყოფნა. სოციალისტური თავდაცვის კომიტეტი (ველას მომხრეები) თანახმა არის მიიღოს კომინტერნის 2„ მუხლი, მაგრამ უარს ამბობს მეოთხე კონგრესის ახალი 14 მუხლის მიღებაზე. აქედან ნათელია, ველას მომხრეები ვერ ბედავენ კომინტერნის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას.

ბეირეთის ნახშირის მუშების გაფიცვა.

მოსკოვი, 4 აპრილი. ორი მეთაურის სამსახურიდან დათხოვის გამო ბეირეთის ქვანახშირის მაღაროს მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცა უკვე დაიწყო და უსათუოდ მეტად ცუდ გავლენას იქონიებს ავსტრიის მრეწველობაზე, რომელმაც რურის ოკუპაციის შემდეგ მეტად ბევრი დაკვეთა მიიღო.

ვალიუტის კატასტროფა.

ოხკოვი 4 აპრილი. უნგრეთის კრონის კურსი ერთი კვირის განმავლობაში 50 პროც. დაეცა. ეს გარემოება მეტად ცუდათ მოქმედობს უნგრეთის მთელი ეკონომიურ ცხოვრებაზე. მთავრობა უძლურია ამ უბედურებასთან ბრძოლაში. მოლაპარაკება უცხოეთიდან სესხის მიღების შესახებ უშედეგოთ დამთავრდა. სურსათის საზღვარ-გარეთ გაზიდვამ გამოიწვია სახელმწიფოს შინგნით სანოვაგეზე ფასების ზღაპრულათ ზრდა და არავითარი შედეგები არ მოიტანა სახელმწიფოში უცხოეთის ვალიუტის დაგროვების საქმისთვის. მინისტრ-პრეზიდენტმა ვეგლენმა განაცხადა. რომ მთავრობას არ შეუძლია ებრძოლოს კრონის კურსის დაცემას, სანამ უნგრეთის რეპერაციების საკითხი არ გამოირკვევაო.

მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან.

მოსკოვი 4 აპრილი. „ნეიფრეი პრესეს ცნობით ახლა სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და უნგრეთს შორის. ირჩევა საკითხი უნგრეთის მონაწილეობის შესახებ რუსეთის მეურნეობის აღდგენის საქმეში.

ხმები ბონარ-ლოუს გადადგომის შესახებ.

მოსკოვი 4 აპრილი. პარიზიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში გავრცელდა ხმა ახლო ხანში ინგლისის პრემიერის ბონარ-ლოუს გადადგომის შეხახებ. მის ადგილზე ასახელებენ კონსერვატორ ბალდკინს, ხაზინის ახლანდელ ლორდ-კანცლერს.

ხასოფლო მეურნეობის მუშათა გაფიცვა

მოსკოვი 4 აპრილი. ხელფასის შემცირების გამო ნორფოლკში გაიფიცა სასოფლო მეურნეობის 20 ათასი მუშა.

ჯარში ხამსახურის ახალი ვადები.

მოსკოვი 4 აპრილი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მიიღო ახალი კანონ-პროექტი, რომელიც აწესებს ჯარში სამსახურის 18 თვის ვადას.

აშინებენ რუსეთს.

მოსკოვი. აპრილის 4. იაპონიის გაზეთი „ოსაკა“ ამტკიცებს, რომ თუ ჩინეთმა განაგრძო კამპანია იაპონიის წინააღმდეგ, მაშინ იაპონია შეუთანხმებს თავის მოქმედებას რუსეთს. უკეთებს რა კომენტარიებს ამ ცნობას, ამერიკული გაზეთი „ნორდ-ჩაინ„ აცხადებს, რომ რუსეთი არასოდეს არ დაუბრუნდება რომანოვების პოლიტიკის ტრადიციებს. ადვილი შესაძლებელია, რომ რუსეთსა და იაპონიის შორის დამყარდება მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ უაზრობათ ჩაითვლება ის განცხადება რომ საბჭოთა რუსეთი უერთდება იაპონიის აგრესიულ პოლიტიკას ჩინეთის წინააღმდეგ.

ახლო აღმოსავლეთი

ახლო აღმოხავლეთის საკითხი.

მოსკვი. 4 აპრილი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ სტამბოლიდან მიღებულ ცნობის თანახმად მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა გადასცეს ანგორის მთავრობას მოკავშირეთა ნოტა, რომელიც იცავს ექსპერტთა ლონდონის კონფერენ-

ციის დადგენილებას. გაზ. „დეილი მეილის“ ცნობით, ნოტაში აღნიშნულია რომ მოკავშირეები პრინციპიალურად თანახმანი არიან შეთანხმების ტექსტის იმ მუხლების გადასინჯვაზე, რომელიც ეხება უცხოელების უფლებებს, მაგრამ უარყოფს ეკონომიურ საკითხების განხილვას. ნოტა წინადადებას აძლევს ოსმალეთის მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომები ლონდონაში მოლაპარაკების განახლებისა და კონფერენციის მოწვევის ვადის დანიშვნისათვის. ნოტა აღნიშნავს აგრეთვე, რომ მოკავშირეები დარწმუნებულნი არიან საზავო ხელშეკრულების დადების სიადვილეში.

ლტოლვა მესოპოტამიის ნავთისაკენ.

მოსკოვი 4 აპრილი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა აცნობა ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს, რომ ამერიკას სურს მიიღოს ჩესტერის მიერ აღებული კონცესიების დამტკიცება. კონცესიები ანიჭებენ ამერიკელებს უფლებას გაიყვანონ რკინის გზა და ექსპლოატაცია უყონ ნავთს და ნახშირს მცირე აზიაში და მესოპატამიაში.

ზუმლულ ფაშას განთავისუფლებისათვის.

ბერლინი, 4 აპრილი. ინგლისის მთავრობამ გაანთავისუფლა ზუმლულ-ფაშა და ნება დართო გაემგზავროს პარიზში სამკურნალოდ, მაგრამ აუკრძალა ეგვიპტეში შესვლა.

არჩევნების დამთავრების ვადა.

პარიზი, 4 ანრილი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად ოსმალეთის დიდ ეროვნული კრების არჩევნები უნდა დამთავრდეს ორი თვის განმავლობაში.

ბრძოლა ალკოგოლთან.

პარიზი, 4 აპრილი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალეთში აკრძალულია სპირტის სასმელების ხმარება. ფიქრობენ, რომ ამ აკრძალვის წინააღმდეგ პროტესტს განაცხადებს მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი.

ახალი ამგვიგი.

— **ხაქ. კომუნისტური პარტიის (ბოლშ.) ცეკას გამომცემლობა.** რედაქციამ მიიღო ცეკას გამოცემა ქართულ ენაზე ვ. ლიბკნეხტის—**„მოგონებანი მარქსის შესახებ“**. წიგნი შეიცავს 78 გვერდს და დართული აქვს ვილჰელ ლიბკნეხტისა და კარლ მარქსის სურათები. (შინაარსი: როგორ გავიცანი მარქსი. პედაგოგიკის დარგიდან და სხვა. მარქსი—მასწავლებელი. პოპულიარობა. ნიღაბები ადამიანები და ფოტოგრაფიები. „გენიოსი—მეცადინეობა“. მეგობარი და მასწავლებელი ურკვარტი. ბარტლემი, მარქსი და ბავშვები. შახმატის მღელვარე მატჩი. მინდვრებსა ველებში. რამდენიმე არასასიამოვნო წუთი. პატრიოტიზმი და ის, რაც მას მოჰყვება. ავადმყოფობა და სიკვდილი; გამგზავრება არქეოლოგიურ გამოკვლევათა მიზნით).

— **ფინანსთა კომისარიატში.** საერთო გადასახადი მომატებულ იქმნა შემდეგნაირად: ნებართვის გამოტანა—200 ათასი მანეთი, ნოტარიულ ხასიათის განცხადებები—20 ათასი მანეთი, უძრავ-მოძრავის ქონების მოწმობები, პირადობის და სხ. ასი ათასი მანეთი. საპასუხო განცხადებები—200 ათასი მანეთი.

— **გადასახადთა ინსპექციაში.** გასულ თვეს დამთავრდა საშემოსავლო გადასახადის გაწერა 1922 წლისათვის და ამჟამად სწარმოებს მუშაობა საერთო-სამოქალაქო გადასახადის გატარებისათვის, რომლის აკრეფა უნდა დამთავრდეს ამ წლის 1 მაისისთვის.

— **ხარეწავი და საშემოსავლო გადასახადები 1923 წ.** აღნიშნული გადასახადები გაიწერება სამოქალაქო გადასახადის დამთავრების შემდეგ გაწერილ სარეწავი და საშემოსავლო გადასახადებიდან 1921 და 1922 წლებისათვის დაახლოვებით ჯერ ჯერობით აკრეფილია 70 პროც-ტი. ამასთან მიღებულია ენერგიული ზომები დანარჩენი გადასახადის დაუყონებლივ ასაკრეფად.

ზეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის ამა წლის 4 აპრილის ნომრის ახალ ამბების სვეტში სწერია: აღდგომის სადღესასწაულო დღეებათ ითვლება 8 და 9 აპრილი, ხოლო 7 აპრილს მუშაობა უნდა შესწყდეს დილის 12 საათზე.“

უნდა იყოს: „აღდგომის დღესასწაულ დღეებათ ითვლება 7, 8 და 9 აპრილი, ხოლო 6 აპრილს მუშაობა უნდა შესწყდეს დღის 12 საათზე“.

მოწერილი ამბები

ქუთაისის ქალთა მესამე ტეხნიკუმის ხალამო.

23 მარტს, ხსენებულ ტეხნიკუმის მოწაფეებმა გამართა ამა ტეხნიკუმის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ, ქუთაისის სახელმწიფო თეატრში საღამო. მიუხედავათ იმისა, რომ საღამოს დასაწყისი მგონი 8 საათზე იყო გამოცხადებული, სრულ 9 ნახ. საათზე აიშალა თეატრის გარდა და სცენაზე გამოჩნდა მაღრაძის გუნდი და თვით ლოტბარი მაღრაძე... გუნდის მიერ „ინტერნაციონალის“ შემდეგ იქმნა სხვადასხვა სიმღერები შესრულებული, რამაც დამ-

არჩილი როგორც მოაზროვნე

ყოველ სოციალ-პოლიტიკურ თეორიას ახასიათებს იმ სოციალურ არეს მთავარი მხარეები, რომელშიაც იგი შექმნილა და ჩამოყალიბებულა. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოციალური იდეალების აღმოცენება და სოციალ-პოლიტიკურ დოქტრინათა ჩამოყალიბება უკიდურესი დეტერმინისტული გაგების თანახმად მიმდინარეობს. ასეთ თვალთახედვას ეწინააღმდეგება რეალი ცხოვრების ფაქტები.

აზროვნების განვითარების ისტორიამ იცის არა ერთი შემთხვევა ერთ და იმავე სოციალ გარემოში ანტაგონისტურ დოქტრინათა აღმოცენებისა.

ერთსა და იმავე სოციალ გარემოში აღმოცენდა ჟ. ბ. სეის და სისმონდის დოქტრინები, მიუხედავად მათი ანტიპოდიური ბუნებისა. ბასტიასა და პრუდონის თეორიებს შორის გაუვალი უფსკრულია გათხრილი, მაგრამ ისინი ერთსა და იმავე გარემოში აღმოცენებული კონცეპციებია. შულცე-დელჩისა, ჰენრი ჯორჯისა და ველკნერის სიმტკიცის ურთიერთშორის ნათესაობის გაბმა შეუძლებელია; მიუხედავად მათი აღმოცენების გარემოს იგივეობისა.

მოაზროვნე ერთი მხრით დამძიმებულია მთელი იმ ტვირთით, რომელიც მის წინა ეპოქას შეუქმნია, მეორე მხრით იგი სდგას რეალ ცხოვრების ტენდენციების გავლენის ქვეშ და ამ ორმაგი მასალიდან მისი შემოქმედება აგებს რაიმე სისტემას, თეორიას, რომელსაც ერთვის მისი აზროვნების შინაგანი ჭიდილისა და ცნობიერების გამოსახვა.

უმთავრესი დებულებანი მარქსიზმისა უკვე გამომუშავებულ ქონდა, როგორც ეკონომიური და სოციალური აზროვნების განვითარებას, ისე ფილოსოფიურ თეორიებს, რომელიც გერმანეთის ფილოსოფიის უკიდურეს განვითარების საფეხურს წარმოადგენდა 30—40 წ—ში და რომლის მამათმთავარი იყო ჰეგელი.

ბუნებრივი კანონების არსებობა ეკონომიური ცხოვრების განვითარებაში და თვით აბსტრაქტიული მეთოდი კვლევისა, მარქსიზმმა მიიღო პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლისაგან. მართალია ერთი ფრანგი მეცნიერი, როდესაც მარქსის „კაპიტალს“ სთვლის არა კრიტიკულ „მეცნიერულ“ სოციალზის პირველ წიგნად, არამედ პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის უკანასკნელ წიგნად.

შრომის თეორიის საფუძვლები, რაც ძირითადი კონცეპციაა მარქსიზმისა, მარქსმა რიკარდოს სკოლისაგან მიიღო.

მარქსის მიერ კრიზისებისა და პაუპერიზმის ახსნა სისმონდის თეორიის ერთი ვარიანტია.

ინდუსტრიალიზმის პრიორიტეტი, ეკონომიური სახელმწიფოს იდეა, კერძო საკუთრების კრიტიკა, კლასთა ბრძოლის დებულება, ისტორიის მატერიალისტური ახსნის ჩანასახი მარქსიზმმა მიიღო სენ-სიმონისა და სენ-სიმონისტებისაგან.

პროდუნმა, რომლის წინააღდეგ მარქსი დიდი სიმკაცრით იბრძოდა, მასზედ დიდი გავლენა მოახდინა.

პირველად პრუდონმა და არა მარქსმა შესძლო დიალექტიური მეთოდის მოხმარა ეკონომიურ მოვლენათა გარჩევაში, მანვე მოგვცა კონსტიტუტიური ფასი, რაც იგივე მარქსის ამსოლიუტური საშრომო ფასეულობაა. პრუდონმა მოგვცა აგრეთვე ზედმეტი შრომის ფასეულობაც.

როდბერტუსმა მარქსზედ ადრე და მარქსზედ კარგად მოგვცა შრომის თეორია ფასეულობისა.

არჩილიც შვილი იყო თავისი ეპოქისა და იმ სოციალური გარემოსი, რომელშიაც მას უხდებოდა მოღვაწეობა. მისი ნააზრევი საქართველოს სინამდვილის ღრმა ანალიზის ნიადაგზე არის აღმოცენებული და ზოგად თეორეტიულ სიმაღლემდე აყვანილი.

ერთი მხრით ქართველი ხალხის უმრავლესობის მუშური მდგომარეობა და მეორე მხრით ამავე ხალხის ეროვნული მონობა, არ შეიძლება დარჩენილიყო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური აზროვნების გარეშე,

ჩვენი ხალხის სოციალ-პოლიტიკურ იდეფიქსი. ვერ მისცემდა დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერც კოსმოპოლიტიკურ სოციალიზმის აპოლოგეტები, ნიჰილისტები ეროვნული პოლიტიკის სფეროში და ვერც ცრუპატრიოტები, მოკლებული გარკვეულ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას გარეშე მდგომნი ქართველი ხალხის უმრავლესობის კლასობრივი ინტერესებისა.

სოციალ-ფედერალიზმის წარმოშობა, როგორც ეროვნულ-სოციალისტური დოქტრინის ასეთ პირობებში სოციალოგიური აუცილებლობა იყო. არჩილ ჯორჯაძეს ხვდა წილად ამ დიდი მისიის შესრულება.

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მეტად დიდი საპატიო ადგილი უჭირავს არჩილის ნააზრევს. მისი შესწავლა, განმარტება და შეფასება შეუძლებელია გაზეთის ფურცლებზე. ძნელია არჩილის ნააზრევის ზოგადი კონტურის დასახვაც.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არჩილის ნააზრევის სოციალ-პოლიტიკური ნაწილი.

არჩილის მოღვაწეობიდან ახალი ერა იწყება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მასის პოლიტიკური ფიზიონომია ირკვევა. მე-19 საუკუნის გასწვრივ ეროვნული მოტივები, მოხეტიალე სიტყვა-კაზმულ მწერლობაში, შეთქმულებებში, აჯანყებებში უკვე პოლიტიკურ ფორმულაში ყალიბდება და განსაზღვრულ სოციალ პოლიტიკურ ვაგებას ეყრება საფუძველი.

არჩილს წილად ხვდა იმ უფსკრულის ამოვსება, რომელიც გაითხარა ერთი მხრით უკიდურეს ნაციონალიზმსა და მეორე მხრით უკიდურეს ინტერნაციონალიზმს შორის. ეს როლი **არჩილის** აზროვნებამ დასძლია.

ეროვნული პრობლემის სოციალურ განმარტებასთან ერთად, მან მოგვცა ამავე პრობლემის პოლიტიკური მხარე, რომელიც ფედერალიზმში გამოიხატა და რომელსაც საფუძვლად დაედო სოციალისტური ნაციონალიზმი.

არჩილმა შეადგინა ეროვნული და სოციალისტური მომენტები. ისტორიული პროცესი მან არ ახსნა მარქსისტული სიმარტივით, რომელიც მხოლოდ კლასთა ბრძოლის თეორიას ემყარება. მან სოციალ დინამიკაში მიიღო უმთავრესად კლასობრივი და ეროვნული მომენტები და ამრიგად ისტორიული პროცესის ვაგებას განსაკუთრებული ახსნა დაუდო საფუძვლად.

მეორე მთავარი მომენტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ბრძოლის მეთოდის პრობლემა. ეს პრობლემა ძირეული საკითხია სოციალ-პოლიტიკური მიმართულებისათვის. როგორც სოციალისტური ბანაკი რამდენიმე შტოდ იყო და არის დაყოფილი, ისე ანარქისტული ბანაკიც ბრძოლის მეთოდის ნიადაგზე მთელ რიგ მიმართულებად დაიყო. თავის მიზნის, იდეალის მიხედვით არაფრით არ განსხვავდება თითქმის ოუენი, ფურიე, სენ-სიმონი, მარქსი, ლავროვი, მიხაილოვსკი, არჩილი და სხ.

მაკდონალდი და ლენინი ორივე სოციალიზმის აპოლოგეტია, კაუცკი და ჰილფერდინგი ორივე მარქსისტული სოციალიზმის—დიდი ეკონომისტია, ბაუერი და შეიდემანიც ახალ სოციალ ფორმაციისაკენ სვლას არ უარყოფენ, ჟუო და ტროცკი სოციალიზმის სამეფოსაკენ მიიწევენ, მაგრამ ყველა ესენ შორის დიდი და რადიკალი განსხვავებაა. ეს განსხვავება ბრძოლის მეთოდთა შერჩევაშია.

ასეთი მდგომარეობაა ანარქისტულ ბანაკშიაც. ბაკუნინი და კროპოტკინი შორსაა ტუკერსა და ვალჩევსკისაგან, შტირნერსა და რეკლიუს შორისაც საკმაო მანძილია გრავესა, მალატოსა, ფორსა, კორნელისენსა და სორენს შორის საგრძნობი განსხვავებაა ამავე ბრძოლის მეთოდის ნიადაგზე.

არჩილიც დიდ ყურადღებას აქცევს ბრძოლის მეთოდს მისი გზა აქტული, რევოლიუციონური სოციალიზმის გზაა.

თუ ერთი მხრით მარქსისტული სოციალიზმი არსებითად პარლამენტარულ ბრძოლამდე ჩამოვიდა პრაქტიკაში და მეორი მხრით რევოლიუციური სინდიკალიზმი სრულიად ანტიპოდი შემეცნების მატარებლად გადაიქცა და პარლამენტური ბრძოლა უარყო, **არჩილმა** სინთეზიზმის საშუალებით აღადგინა მთლიანობა და არც პარლამენტარიზმი მიიღო სავსებით და არც რევოლიუციურ სინდიკალიზმის ნიადაგზე დადგა სავსებით.

არჩილმა უარყო დემოკრატიზმი და გარკვეით განაცხადა, რომ „დემოკრატიული სახელმწიფო ჩვენს თვალში კლასობრივ ბურჟუაზიული წყობილებაა“ მან მიიღო დებულება, რომ სოციალიზმის კითხვა „გადაწყდება პარლამენტში კი არა, არამედ ქუჩაში, ბრძოლის ველზედ“, მაგრამ პარლამენტარიზმიც მიიღო, როგორც საშუალება აგიტაციისა, პროპანგადისა. ამ შემთხვევაში არჩილმა შეარიგა სინდიკალიზმი ერთი მხრით და პოლიტიკა მეორე მხრით.

ის თვალსაზრისი ერთად ერთი მიზანშეწონილი თვალსაზრისია. რამდენაც რევოლიუცია კლასთა ბრძოლაში ყალიბდება, იმდენად მიუღებელი ხდება პარლამენტარიზმი, როგორც კლასთა კოალიციის ინსტიტუტი რამდენადაც ევოლიუციის ეტაპებში შედის სოციალ ძალთა განვითარება, იმდენათ პარტიას შეუძლია, შიგნიდან მოეჭცეს „ციხეს“ და გამოამზეურის დღის სინათლეზე კაპიტალის მაგნატთა პოლიტიკური საქმენი.

არჩილმა უარყო ობიექტიური სოციოლოგიის გაგება ისტორიული პროცესისა და სუბიექტიური ელემენტებიც შეიტანა საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტორთა წყებაში. პიროვნება არა როგორც უბრალო მექანიური არსი და სტატისტი მოვლენათა მიმართებაში, არამედ, როგორც აქტიური შემომქმედი, როგორც აქტიური არსი სოციალური გარემოში, აი არჩილის გაგება პიროვნების როლისა.

ეს სქემა გადმოტანილი დღევანდელ სინამდვილეში მათემატიკური სისწორით უდგება რეალ ფაქტთა ვითარებას. ფედერალიზმის წინაშე ქედს იხრის დღეს გუშინდელი მტერნი ამ იდეისა. კაპიტალის კონცენტრაცია თანამედროვე მოძრაობას აღარ მიაჩნია ერთად ერთ გზად სოციალიზმის სამეფოსაკენ სასვლელად. ამიტომ აქტიური ბრძოლაა გამართული კაპიტალიზმის წინააღმდეგ. უარყოფილია პარლამენტარიზმი და მუშათა კლასი გამოდის „ქუჩაში“ იარაღით ხელში, რომ გადასწყვიტოს „სოციალიზმის კითხვა“.

კაპიტალიზმი არ კვდება თავისი ბუნებრივი სიკვდილით და საჭირო ხდება მშრომელთა გაერთიანებული ფროიტი მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ყოველივე ეს კონკრეტი ფაქტებია, რომელიც ნათელს ხდის სოციალ-ფედერალიზმის მოძღვრის, **არჩილის** ნააზრევის სისაღესა და სისწორეს.

მოსწავლე ახალგაზრდობას

ექვსი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ბოლო მოუღო ნიკოლოზის რეჟიმს და განათავისუფლა მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი. მშრომელმა მასამ იდღესასწაულა ეს დიდი გამარჯვება და ისტორიაში ეს დღე აღნიშნულია, როგორც განმათავისუფლებელი ჩაგვრა მონობისა.

რევოლიუციამ საქართველოს დაუბრუნა ეროვნული უფლება. ქართველ ახალგაზრდობას ყველა საგნები ქართულ ენაზე უნდა შეესწავლა, და ეს მოვლენა კი ჩვენთვის დიდი პროგრესი იყო. რევოლიუციამდე კი მოსწავლე ახალგაზრდობა იჩაგრებოდა. საქართველოში ქართველ ახალგაზრდებს უნდა დაეგმოთ სამშობლო ენა და სულ სხვა ხალხის ენით უნდა ეძიათ გონების საზრდო. უმრავლესობა იძულებული ხდებოდა სწავლა მიეტოვებია და და განზე გასდგომოდა ცხოვრების სრბოლას, რამაც გამოიწვია სწავლა-განათლების დაქვეითება და ჩამორჩენა საქართველოს კულტურულად სხვა ქვეყნებზე.

რაკი ენის ნაციონალიზაცია მოხდა, გულმოდგინეთ მოჰკიდა ხელი მომავალმა თაობამ სწავლა-განათლებას; რასაკვირველია ეს მოვლენა მარტოდ ენის ნაციონალიზაციით არ აიხსნება, არამედ სკოლების გახშირებითაც. მოსწავლეები დღესაც განიცდიან ეკონომიურ შევიწროებას, მაგრამ მიუხედავად ამისა იშვიათად შეხვდებით ისეთს მოწაფეს, რომელიც უმადური იყოს თავისი ხვედრითა. ხშირად შეხვდებით. ასეთი მოწაფეებს, რომლებსაც სითბო სრულებით არ უნახავს დეკემბრის და იანვრის ცივ ღამეებში და განაგრძნობდნენ კი მეცადინეობას. დღეს საქართველოს მშრომელ ხალხს დიდი ნაბიჯი აქვს გადადგმული მოსწავლეთა უზრუნველასაყოფათ.

დღეს არამც თუ მარტო ახალგაზრდები, არამედ მოხუცებულებიც ცდილობენ წერა-კითხვის შესწავლას, აყოლას და ჩამბმას თანამედროვე ცხოვრების ღერძის ტრიალში.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის მდგომარეობა, რომელიც ამ წერილის მთავარი მიზანია. ეს გაბლავთ რუსული ენის ცოდნის აუცილებლობა, იმ თავითვე შეძულებული ენა ტენდეციურად დარჩა მოსწავლეების სულში და გულში გამჯდარი. ეს ტენდეცია დღესაც შეუნარჩუნებიათ და გაურბიან რუსულ ენის შესწავლას.

მე კი გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ ეს ენა აუცილებლად უნდა იცოდეს იმ ახალგაზრდამ რომელიც საშუალო სასწავლებელს ათავებს და გამოდის ცხოვრების სარბიელზე.

თუ ნიკოლოსის რეჟიმის დროს ყველა სამოსწავლო საგნებს რუზულიად განვივლიდით, ესლა მხოლოდ ერთი საგანი უნდა შევისწავლოთ რუსულ ენაზე—რუსეთის ლიტერატურა, რომლის შემწეობით ადვილად შეგვიძლია დაუახლოვდეთ ევროპის ლიტერატურას, რომლიც არის ცოტად თუ ბევრად რუსულ ენაზე ნათარგმი. დღეს საქართველოს აქვს თავისი უმაღლეწი სასწავლებელი რომელიც ამშვენებს და შუქს ფენს ქართველი ერის სახელს აქაც შეხვდებით ხოლმე ლიქციებს რუსულ ენაზე, რომელსაც ჩვენმა მოსწავლეებმა უნდა მოუსმინოს. დღეს კი რუსული ენის უცოდინარობით ეს შეუძლებელ-

ბოლო ამბავი

ბოლ. ალბანეთიშვილი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დღეს, აპრილის 5-ს საქ. მემარცხ. სოც.-ფედ. პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1

შეხდება ტფილისის პარტიულ ორგანიზაციების წევრთა და თანამგრძნობთა

საერთო კრება
არჩილ ჯორჯაძის

გარდაცვალებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავად. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ლია. ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა რუსულ ენის შესასწავლად, საჭიროდ მიგვაჩნია მეტი სიფრთხილით მოვეკიდოთ ამ საკითხს და დახელოვნებული პედაგოგები მიუჩინოთ „ყველა ტეხნიკუმებს, რომლებიც ჩამორჩენილი არ არიან რუსული ენის ცოდნაში.

ელ. ჯიჯიეშვილი.

ᲐᲠ ᲫᲐᲚᲣᲫᲣ

ხმაურობს ქუჩა ნახევრად შემლილი.

მოძრაობენ ავტომობილები, ტრამვაები და ეტლები...

შუადღეა. მზე, დაუმრეტელი წყარო ენერგიისა, ცის დედოფალი და მიწის შეყვარებული, უხვად აფრქვევს ოქროსფერ ხხივებს გაზაფხულის ტალღებში შეფურებულ მიდამოს!

...ღელავს ქუჩა და ხმაურობ.

ვინ ხად მიეპურება და ვინ ხად!

ქუჩა ითქოს შეარყია მაშვრალთა ჯარის მქუხარე ხიმღერამ.

მწყობრად შიდიან, თვითვეულ მათგანს უცინის ხახე. მიდიან, მიიმღერიან და მიაფრიალებენ წითელ დროშას!..

— ეი! გმირებო! თქვენ ხართ ცხოვრების გაზაფხული. თქვენ ხართ ჩირადღანი ბედ შავი ხალხის. თქვენ გშობათ ქუჩამ და ქუჩამივე ბოლეთ ბრწყინვალე გამარჯვება. თქვენ არ გეშინიათ ბირ დაღებული ნაბრალების, წინ შემოჩეხებულ გრიგალების, უვარსკვლავო ღამეების. წინ მიდიხართ მომღიმარე სახეებით და ხიკვდილსაც ღიმილით ეგებებით! თხვენ მზის ნამოცი რკინის კაცები ხართ!.. თქვენ გულში მარად გუზგუზებს ბრძოლის ცეცხლი

ჩვენ მემარცხენე სოც.-ფედერალისტები მოვაგონებთ დღეს ყველა მათ, ვისთვისაც პატივსადებია **არჩილის** სახელი, რომ თუ ის წინ წავიდა ან მარჯვნით ან მარცხნით, გაბრუნდეს „უკან არჩილისაკენ“.

მემარჯვენე ფედერალისტთა პოლიტიკა არსებითად გადასცდა თავის მასწავლებლის საზღვარს და მენშევიზმის გავლენას დაემორჩილა.

ჩვენ ვხედავთ, რომ **არჩილის** ლოზუნგთა რეალიზაცია, თანამედროვე მოძრაობის მისიაა. ორტოდოქსალი მარქსისტების ამაყი ქედიც კი არსებითად ჩვენს გზას უბრუნდება. აღარ კმარა ერთი დროშა და მეორესაც ჰკერავენ, მაგრამ ჩვენ იგი უკვე მზამზარეული გვაქვს და მეოთხედი საუკუნის გასწვრივ წინ მიგვიძღვის.

იდეათა ცხოველმყოფელობას ვერ უმკლავდება ვერავითარი ძალა. ბევრი არ იცნობს **არჩილს**, ბევრისათვის **ხოციალ-ფედერალიზმი** უცხო ხილია, მაგრამ მოვლენათა და საგანთა წყობა აიძულებს იაზროვნოს ისე, როგორც აზროვნებდა არჩილი. სწორედ ამაშია იდეის სიმძლავრე. არჩილის სამშობლო, რომ 100 მილიონიანი ქვეყანა ყოფილიყო, არჩილის ნააზრევი სამსოფლიო განძი იქნებოდა, იგი დიდ როლს შეასრულებდა მთელი საუკუნის პოლიტიკის ხასიათის გამომუშავებაში, მაგრამ საქართველო ხომ აზრის გილიოტინა ყოფილა და არის. უმადური ერი თავს გაუჭეჭყავთ დიდ პიროვნებათ, როგორც ილიას, დავაკლექიანებთ, როგორც არჩილს...

აღსანიშნავია ისიც, რომ არჩილის აზროვნებაში არ არის ერთი სწორი ხაზი და იგი სხვა და სხვა ეტაპში მისი აზროვნების განვითარებისა სხვა და სხვა თვალსაზრისზე სდგას, მაგრამ ამით არ მცირდება არჩილის ნააზრევი. ეს მერყეობა თანმხლებია ყოველი დიდი მოაზროვნის. ოგ. კონტმა, რომელმაც ყოველივე მეტაფიზიკური სისტემა უარყო თავის შემოქმედების დასაწყისში, ამავე ოგ. კონტმა მეტაფიზიკურ-მისტიური სისტემით დაასრულა თავისი აზროვნება. ემ. კანტიც არ არის თავისუფალი წინააღმდეგობით თავის აზროვნებისა, კარ. მარქსმა ლიბერალიზმით დაიწყო და სოციალიზმით დაასრულა თავისი ნააზრევი.

ღრმა აზროვნებას აუცილებლად ახასიათებს წინააღმდეგობა. ამავე დროს. ღრმა აზროვნება არ შეიძლება იყოს გამოთავთავებული წინამორბედ აზროვნებისაგან.

არჩილის აზროვნება მკაცრად ემორჩილება ამ თხრ მთავარ თვისებას ღრმა მოაზროვნეთა. არჩილი საქართველოში წარმომადგენელი ფედერალისტური

თქვენი ღვაწლი შეუქურა ვარსკვლავივით ხციმციმებს ჩვენი ცხოვრების ცაზე!

თქვენი გმირობა უკვდავია ხამარადუამოდ!..

ხიმღერით ჩაიარეს. ნუთით სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ქუჩა იხევ ახმაურდა, ისევ შეიჭრა ხიგიჟის ტალღებში!..

...აგერ მოხუცს, ნახევრად დაბრმავებულს, ძველ ფარაჯაში გამოხვეულს, წელში მოხრილს, რომლის თეთრ წვერს ჭუჭყის გამო, ხიყვითლე დასცემია, წინ მოუძღვება ბატარა გოგონა დადონებული ხახით.

ცხოვრების დაუნდობელმა მარად მღელვარე ზღვამ ნაბირზე გარიყა იგი...

ხიკვდილმა მას ძემოაცალა ნათესავები, კეთილები და ძვირფასი მეგობრები.

დარჩა მხოლოთ ერთი ქალი, ბატარა თალიკო და მას მიენდო ხაბრალო გიორგი. ბატარა თალიკო არის მისი მომვლელი და გზის მაჩვენებელი.

ბატარა თალიკოც გრძნობს ცხოვრების ხიბოროტეს.

იგი ხედავს სიყმაწვილის დამჭკნარ ყვავილებს... ბიბ მოშხმულ აბალგაზრდობას. მას იზიდავენ გალიმებული, ახლად გაფურჩქნული ყვავილები; ანკარა მდინარეები. მას ძლიერ უნდა გაინავარდოს ამწვანებულ მინდორ-ველზე, მაგრამ ვის დაუტოვოს მისი ხიყვარული, გაუბედურებული მამა? ხმირად შეუნიშნავს ბატარა თალიკოს მამის თვალებში ცრემლები..

ხიმხვდარა მამის გულის ტკივილს და მწარედ დაღონებულა.

ხშირად თალიკოსაც ეხტუმრება ხოლმე ცრემლები.

ნელი ნაბიჯით დაატარებს თალიკო მოხუც მამას. აგერ ერთ დუქანს მიადგენ, არაფერი აჩუქეს.

მეორემ ახი თუმანი გადმოუგდო დაყვედრებით.

— რას წარმოადგენს ახი თუმანი? მაგრამ გულ ხარბ ვაჭარს არც იხ ემეტება.

აგერ შეურაცხყოფა მიაყენეს თალიკოსა და გიორგის.

და ახე თავდება ქუჩა. ბოლოში ითვლიან ფულს.

ხმაურობს ქუჩა, ქუჩა კიეად გარდაქცეული...

ქუჩა უბედურთა თავშესაფარია.

ო, რამდენ ტანჯულს ჩაუვლია ამ ქვაფენილებზე.. რამდენ უხასლკარო მოძაკვდავს ამ ქვაფენილებიდან უკანასკნელად შეუხედავს ლაჟვარეთვან ცისათვის.

რამდენი კაცის ხისხლი დაღვრილა ამ ქვაფენილებზე და, ვინ მოხთვლის, რამდენი ხიავის მოწამეა ქუჩა..

დღესაც ვხედავთ ჩვენ ქუჩებში გაუბედურებულ ადამიანებს, ვხედავთ ნახევრად ტიტველ ბავშვებს—ჩვენი მომავლის ფოთლებ შემხმარ ყვავილებს, მაგრამ ჩვენ მათ ყურადღებას არ ვაქცევთ, ჩვენ მხოლოდ ჩვენ თავზე ვფიქრობთ.

— ჩვენ ყველანი უგულონი ვართ!

ხაბრალო გიორგის გულში თანდათან იზრდება ადამიანების ხიძულვილი. თალიკოც გრძნობს ადამიანების გულცივობას, მაგრამ რა ქნას?

ხშირად არის ისეთი წუთები, როდა გიორგი ხაზრდოებს მოგონებებით. განსაკუთრებით მაშინ მიფრინავს იგი თავის წარხულში, როდა მამვრალთა ჯარის ხიმღერას გაიგონებს, გიორგის ამ დროს აგონდება თავის ხიყმაწვილე, როდა იგი ბედნიერად გრძნობდა თავს, როდა იგი ეალერსებოდა მგინარა ვარსკვლავებს, როდა მისი გული ყვავილების ბაღს წარმოადგენდა; როდა გატაცებით ეწაფებოდა ცხოვრების წყაროს; როდა განთქმული იყო მის ნაცნობებში, როდა გატაცებით უქადაგებდა ხალხს აღთქმის მხარის ხიდიადეს; მოუწოდებდა მათ ახალ ქვეყნისაკენ. დღეს მიორგი ხხვა მდგომარეობაშია. მისი ხხეული მოდუნებულია. იგი მაინც ხიამოვნებით ისმენს გამარჯვებულთა ხიმღერას; მის თვალეაში ცრემლები ციმციმებენ; ისმენს ხიმღერას და ხურს ხულითა და გულით შეუერთდეს მამვრალთა რაზმებს, მანაც იდდესახწაულოს, მიინც იმღეროს მაგრამ ხამარის პირად მიპხლოვებულს, ყველახაგან დავიწყებულს, დაავადმყოფებულ მოხუცს ეს არ ძალუძს..

არ ძალუძს...

დ. კობიძე.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

უცხოეთი.

რკინის და ფოლადის მსოფლიო წარმოება 1922 წელს. ამერიკული გაზეთის ცნობით, 1922 წელს რკინის და ფოლადის წარმოებამ დიდათ აიწია 1921 წელთან შედარებით და შეადგენს—49.790.000 ტონნა რკინას. წინაალმდეგ 34.700.000 ტონისა და 61.000.000 ტონნა ფოლადს. წინაალმდეგ 41.861.000 ტონნისა. წარმოების ზრდა შემჩნეული არის არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპაშიც. რკინის და ფოლადის მსოფლიო წარმოებამ უკანასკნელ წელს 42 პროცენტით აიწია, რომელიც ომის შემდეგ უმაღლესი არის. ამერიკის ხვედრათ წარმოების ზრდა რკინაზე 53 პროცენტი მოდის, ხოლო ფოლადზე 55 პროცენტი. საერთოდ, გარდა კანადისა, ჩინეთის და ჩეხო სლოვაკიის,

მიმართულების, რომელიც რევოლიუციონურ სოციალიზმის ნიადაგზე დაამყნა.

მთელი მნიშვნელობა არჩილის აზროვნებისა, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა, იმაშია, რომ მან ღრმა ანალიზი გაუკეთა მთელ ჩვენს გარემოს, პოლიტიკურ საკითხთა გადაწყვეტის შესაძლებლობას, ერთა ურთიერთობის პრობლემას და მშრომელი ხალხის ინტერესებს და მოვეცა სინთეტიური მოძღვრება სოციალ-ფედერალიზმის სახით.

თქმა არ უნდა, ფედერალიზმი პირველად არ გამოსულა არჩილის სკოლიდან.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ბევრი დემოკრატი და რადიკალი თავისი აზროვნებით ახლოს იდგა ფედერალიზმის პრინციპებთან. ავსტრიაში ფედერალიზმი, თუმცა მახინჯ ფორმით, მაგრამ მანიც დაეუფლა ეროვნულ პარტიებს. სოციალ-დემოკრატებიც, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებია ბაუერი და შპრინგერი, ფედერაციის ნიადაგზე იდგა, მიუხედავად მარქსისტული მხედველობისა, რომელიც ცენტრალურ პრინციპს ემყარება და ამდენათვე ანტიპოდურ მიმართულებაშია ფედერალიზმის დეცენტრალისტურ პრინციპთან.

გერმანეთში და იტალეთში ადგილი ჰქონდა ფედერალისტურ ტენდენციას, ესპანეთში არსებობ-ფედერალისტთა ჯგუფი, რომელსაც მიზნად ქონდა იბერიის ფედერაცია.

ამერიკაში უფრო ფართო გესაქანი მიეცა ფედერალისტურ მხედველობას, რომელსაც წილად ხვდა ცხოვრებაში განაღდებაც კი.

ამერიკის განმათავისუფლებელი ვაშინგტონი ფედერაციის საშუალებით აერთებდა ამერიკის ხალხს.

ავსტრალიაში ფედერალისტური მიმართულება მძლავრი მიმართულება იყო, რამაც დიდი ბრძოლის შემდეგ კოდეც შესძლო ავსტრალიის ფედერაციის შექმნა. დიდბრიტანეთშიაც ფედერალისტურ მიმართულებამ მოიკიდა ფეხი, რასაც ხელი შეუწყო ბრიტანეთის კოლონიების აღმოცენებამ, ჩემბერლენი გახდა ფედერალიზმის წარმომადგენელი ბრიტანეთში.

საფანგეთის რევოლიუციის დროს ჟირონდისტები იბრძოდენ ფედერაციისათვის და კიდეც მოახდინეს ფედერალისტური აჯანყება.

ასე, რომ ფედერალიზმი ახალი ხილი არ იყო მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის, მაგრამ არჩილის მნიშვნელობა ამით სრულებით არ მცირდება.

საერთოდ ვინც თვალს გადაავლებს აზროვნების ევოლიუციას და დოქტრინათა აღმოცენებას, მისთვის საკვირველი არ იქნება, რომ არც ერთი

მეორემ ახი თუმანი გადმოუგდო დაყვედრებით.

— რას წარმოადგენს ახი თუმანი? მაგრამ გულ ხარბ ვაჭარს არც იხ ემეტება.

აგერ შეურაცხყოფა მიაყენეს თალიკოსა და გიორგის.

და ახე თავდება ქუჩა. ბოლოში ითვლიან ფულს.

ხმაურობს ქუჩა, ქუჩა კიეად გარდაქცეული...

ქუჩა უბედურთა თავშესაფარია.

ო, რამდენ ტანჯულს ჩაუვლია ამ ქვაფენილებზე.. რამდენ უხასლკარო მოძაკვდავს ამ ქვაფენილებიდან უკანასკნელად შეუხედავს ლაჟვარეთვან ცისათვის.

რამდენი კაცის ხისხლი დაღვრილა ამ ქვაფენილებზე და, ვინ მოხთვლის, რამდენი ხიავის მოწამეა ქუჩა..

დღესაც ვხედავთ ჩვენ ქუჩებში გაუბედურებულ ადამიანებს, ვხედავთ ნახევრად ტიტველ ბავშვებს—ჩვენი მომავლის ფოთლებ შემხმარ ყვავილებს, მაგრამ ჩვენ მათ ყურადღებას არ ვაქცევთ, ჩვენ მხოლოდ ჩვენ თავზე ვფიქრობთ.

— ჩვენ ყველანი უგულონი ვართ!

ხაბრალო გიორგის გულში თანდათან იზრდება ადამიანების ხიძულვილი. თალიკოც გრძნობს ადამიანების გულცივობას, მაგრამ რა ქნას?

ხშირად არის ისეთი წუთები, როდა გიორგი ხაზრდოებს მოგონებებით. განსაკუთრებით მაშინ მიფრინავს იგი თავის წარხულში, როდა მამვრალთა ჯარის ხიმღერას გაიგონებს, გიორგის ამ დროს აგონდება თავის ხიყმაწვილე, როდა იგი ბედნიერად გრძნობდა თავს, როდა იგი ეალერსებოდა მგინარა ვარსკვლავებს, როდა მისი გული ყვავილების ბაღს წარმოადგენდა; როდა გატაცებით ეწაფებოდა ცხოვრების წყაროს; როდა განთქმული იყო მის ნაცნობებში, როდა გატაცებით უქადაგებდა ხალხს აღთქმის მხარის ხიდიადეს; მოუწოდებდა მათ ახალ ქვეყნისაკენ. დღეს მიორგი ხხვა მდგომარეობაშია. მისი ხხეული მოდუნებულია. იგი მაინც ხიამოვნებით ისმენს გამარჯვებულთა ხიმღერას; მის თვალეაში ცრემლები ციმციმებენ; ისმენს ხიმღერას და ხურს ხულითა და გულით შეუერთდეს მამვრალთა რაზმებს, მანაც იდდესახწაულოს, მიინც იმღეროს მაგრამ ხამარის პირად მიპხლოვებულს, ყველახაგან დავიწყებულს, დაავადმყოფებულ მოხუცს ეს არ ძალუძს..

არ ძალუძს...

დ. კობიძე.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲡᲝᲪ.-ᲤᲔᲓ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲡᲝᲪ.-ᲤᲔᲓ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

რკინის და ფოლადის წარმოების ზრდა ყველგან არის შემჩნეული.

ყავის მსოფლიო მოხავალი. უკანასკნელ ხანებში ყავის ბაზარმა სიმტკიცე მოიპოვა. ეს აიხსნება მით, რომ 1922 წელს ყავის მოსავალი მცირე აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდენ. მეორე მხრით, თუმცა ზოგიერთმა დაცემულ ვალიუტიანმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით გერმანიამ, შეამცირეს ყავის მოხმარება, მაგრამ სხვა სახელმწიფოებში მასზე დიდი მოთხოვნილებაა.

ტყით შიმშილობა ინგლისში. ედინბურგის უნივერსიტეტის მეტყეობის პროფესორმა ედვარდ სტებბინგმა 7 მარტს წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ჩრდილოეთ რუსეთის ტყეები და მათი ეკონომიური მნიშვნელობა“. მომხსენებელი ამბობს, რომ ინგლისში დადგება ტყით შიმშილობა და საჭიროა ჩრდილოეთ რუსეთიდან ხე-ტყის გამოზიდვაო. ის წინადადებას იძლევა შეიქმნას ბრიტანული სინდიკატი 2 ნახ. მილიონ აკრი ტყის კონცესიის მისაღებათ რუსეთში.

მეცნიერება და ტექნიკა

ჰაეროპლანი—ბომბების მსროლელი.

„მანჩესტერ გარდიანის“ ცნობით, ავიაციის სფეროში 1922 წელს ყველაზე საინტერესო მოვლენა არის 1000 ცხენის ძალიან მამოძრავებლის ჰაეროპლანის აგება; ეს არის ყველაზე ძლიერი ჰაეროპლანი მსოფლიოში,—ერთი მამოძრავებლით. ის გამოსადეგია შორეული გაფრენისათვის და მთლად ლითონისაგან არის გაკეთებული; სპეციალური ელექტროული აპარატები მოწყობილი არის ეკიპაჟის ხელ-ფეხის გასათფობათ და იარაღების გაყინვის საწინააღმდეგოთ; ჰაეროპლანს ორი პილოტი მართავს, რომლებიც ერთმანეთის გვერდით სხედან.

ანტროლოგიური აღმოჩენა.

ინგლისის ერთ-ერთ კუნძულზე ნახულ იქმნა ადამიანის თავის ქალა ქვის საუკუნის სამზარეულოს შეზობლათ, რომელიც ავსილი იყო ლოკოკინებით. სერ არტურ კეიტრის აზრით, რომელიც ავტორიტეტული ანტრპოლოგია ინგლისში, ეს თავის ქალა ეკუთვნის დაახლოვებით 1500 წელს ქრისტეს დაბადებამდე. ეს ქალა განსხვავდება მით, რომ არა აქვს შუბლის ძვალი და მსგავსი არის ამით, კუნძულ იავაზე ნახულ ტიპის.

მეცნიერული ყრილობები!

4—7 აპრილისათვის ბერლინში დანიშნული არის გერმანელ ქირურგების ყრილობა, 9—12 აპრილისათვის ვენაში დანიშნულია გერმანელ ინტერპების ყრილობა; 16—1[illegible] აპრილისათვის მიუნქენში დანიშნულია გერმანელ რენტგენოლოგების ყრილობა და 16—18 აპრილისათვისვე გეტტინგენში გაიმართება გერმანელ პატოლოგების ყრილობა.

აღმოჩენები გობის უდაბნოში

მარტის პირველ რიცხვებში, მოსკოვში, ცნობილმა მოგზაურმა პ. კოზლოვმა წაიკითხა ლექცია, მის მიერ გობის უდაბნოს ქვიშებში მკვდარი ქალაქის ხატა-ხოტოს აღმოჩენის შესახებ. პ. კოზლოვმა ვერ შესძლო შესვლა, აღმოაჩინა მთელი ქალაქის, მრავალრიცხოვანი შენობებით, რომელთა შორის ერთში ნახულია მშვენივრად შენახული ბიბლიოთეკა 2500 ტომით, დაწერილი უცნობ ენაზე, მრავალი სამხატვრო ნაწარმოებნი, სურათები აბრეშუმზე და სხ. ამ კულტურას გამოუცნობ ხალხისას ამ ჟამათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემია სწავლობს.

სხვა და სხვა

— **მეცნიერული და სასპორტო რეკორდები.** ერთ დროს მიღებული იქნა მსოფლიო რეკორდი პაპიროსის განუწყვეტელი წევის ხანგრძლივობისა და ერთმა ინგლისელმა ჯენტლმენმა გააკვირვა მთელი ქვეყანა მით, რომ შვიდი საათის განმავლობაში შეუჩერებლივ სწევდა არაჩვეულებრივი სიგრძის და განის ერთსადაიმავე სიგარას. ახლა ინგლისში ახალი რეკორდებია მოდაში: ცეკვის ხანგრძლივობა და ამას წინათ ერთმა წყვილმა მოცეკვავემ შესძლო მსოფლიო რეკორდის შექმნა 14 საათში, ე. ი. ეს წყვილი მოცეკვავე ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ცეკვავდა ფოკს-ტროტტს. შეჯიბრების გათავების შემდეგ აქიმებმა გასინჯეს ეს სპორტსმენები და იმ დასკვნამდი მივიდენ, რომ მათი ორგანიზმი, განსაკუთრებით გული, ამ ვარჯიშობებით ვრ დაზიანებულა.

— **ლიტერატურული სკანდალი.** პარიზის გაზეთ „ეკსცელზიორის“ ბუქარესტის კორესპოდენტ ჟუბერომ, რომლის არსებობის შესახებაც დღემდე, ბუქარესტსა და პარიზში ნაკლებათ იცოდენ, დასწერა რომანი „უსირცხვილო ქალები“, შემდეგი ქვეშა წარწერით: „ბუქარესტის ზნეობანი“. თვით რომანის სათაურიდან სჩანს, რომ ავტორი მაინცადამაინც კარგი შეხედულების არ არის ბუქარესტის ქალები ზნეობაზე და ამ რომანში მართლაც გამოყვანილია ბუქარესტის საუკეთესო საზოგადოების ქალების „ტიპები“, რომლეჩიც, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, სინათლისა და ნახევრად სინათლის საზღვართან სდგანან. ამას მეტად არაჩვეულებრივი სკანდალი მოყვა, მით უფრო, რომ რომანი ნატურიდან იქმნა დაწერილი და გამოსახული იქნა მასში საკმაოდ გამჭვირვალე ფსევდონიმებით ქალები, რომლებზეც „ბუქარესტის საუკეთესო საზოგადოებაში“, როგორც ამბობენ, თითით უჩვენებენ. ბუქარესტის ქალები და მათი ქმრები აღშფოთდენ, რამოდენიმე დეპუტატმა შეკითხვაც შეიტანა პარლამენტში და მინისტრთა საბჭო იძულებული გახდა გადაესახლებია „ეკსცელზიორის“ კორესპოდენტი რუმინეთიდან. ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ჟუბერი სავსებით მადლიერია მინისტრთა საბჭოსი ამ დადგენილებისათვის; ეს იმიტომ რომ მას შედეგათ ჯერ ერთი,—რომანის რამოდენიმე დღეში გასაღება მოყვა და მეორე,—პარიზში ავტორს ყურადღებას მიაქცევენ ამიერიდან, რომელიც დაიმედებულია, რომ მისი გამოცემის მატერიალური შედეგები გადააჭარბებენ საპატიო ლეგიონის ორდენის მარგერიტის რომანი შედეგებს, რომელიც, როგორც ცნობილია, იმდენათ თავისი ლიტერატურული ღირსებით არ იყო შესანიშნავი, რამოდენათაც მან ყურადღება მიიქცია იმ სკანდალის გამო, რომელიც ამ რომანის ირგვლივ მოხდა.

ადგილობრივი

ხალხო სახლის 30 წლის არსებობის გამო.

(მოკლე მიმოხილვა)

სახალხო სახლის დამაარსებელნი იყვნენ თვით მუშები. 1893 წელს მუშების ერთი ჯგუფის ინიციატივით შესდგა მუშებისაგან სცენის მოყვარეთა წრე, რომელმაც დაიწყო წარმოდგენების მართვა ავჭალის აუდიტორიაში. ადგილების ფასი იყო სახალხო—შაური. შემდეგ ინტელიგენტებიც შეუერთდნენ ამ ჯგუფს და დაიწყეს საერთო მუშაობა.

იმ დროს ხელოვნება მარტო ბურჟუაზიისათვის თუ იყო მისაწდომი. თეატრებში დადიოდა მხოლოდ შეძლებული კლასი, რადგან მუშები იღებდნენ მცირე ჯამაგირს და თავის საკვებად თუ ძლივს ყოფნიდა, თორემ ვინ გაბედავდა თეატრზე ფიქრს. თანაც რუსული ოპერა და დრამა ჩვენ მუშებს არ აინტერესებდათ, იქ დადიოდა ჩვენი ყოფილი თავად-აზნაურობა, გადაგვარებული ინტელიგენცია, მოხელენი და სხ. ამ უკანასკნელთ ქართული ხელოვნება ჭირივით ეზიზღებოდათ და ქართულ თეატრში ქუდიც რომ შეგეგდოთ, მაინც არ შედიოდნენ. ქართულ თეატრს ყავდა ერთად-ერთი მეგობრები: მოწაფეობა და მუშები. ქართული თეატრის ქანდარა ყოველთვის სავსე იყო მუშებით და მოწაფეებით, მხოლოდ პარტერი და ლოჟები კი ცარიელი იყო. და აი სწორედ ამ ქანდარის აუდიტორიამ შექმნა სახალხო თეატრი თავის ხალხურ რეპერტუარით და მსახიობებით.

სახალხო წარმოდგენების ინიციატორებში აუცილებლივ აღსანიშნავნი არიან: მარიამ დემურია, ოსვალ იმედაშვილი და სხ, რომლებმაც ბევრი ამაგი დადეს, რათა სახალხო თეატრისთვის მიეცათ მკვიდრი საფუძველი.

1907 წელს ცნობილმა ქველმოქმედმა სტეფანე ზუბალაშვილმა ააშენა სახალხო სახლი თავის სცენით და ფართო აუდიტორიით. ზუბალაშვილმა შესწირა ეს სახლი ქალაქს იმ პირობით, რომ შიგ მოეწყოთ სახალხო თეატრი.

ავჭალის აუდიტორიის სცენის მოყვარეთა წრე გადმოდის ახალ თეატრში და სამუდამოდ ბინავდება აქ. დაიწყო რეგულიარული წარმოდგენები აუარებელი მუშა ხალხის თანადასწრებით. რეჟისორობდნენ პროფესიონალები, როგორც: კოტე უიფიანი, სვიმონიძე, ალ. იმედაშვილი, დადიანი, გამყრელიძე და სხ.

ბილეთების ფასი იყო კვლავ სახალხო, პარტერი ღირდა ორი შაური და ბალკონი კი შაური. მოსკოვიდან ალ. წუწუნავას ჩამოსვლისთავე წარმოდგენებს მიეცა სამხატვრო ხასიათი. წუწუნავას მოღვაწეობა იყო მეტად დიდმნიშვნელოვანი სახალხო სახლის ისტორიაში. მაგრამ წუწუნავა დიდხანს არ გააჩერეს სახალხო სახლში და გადიყვანეს 1918 წ. დიდ სცენაზე. წუწუნავას შემდეგ სახალხო სახლს რეჟისორობდა მსახიობი კოტე შათირიშვილი, რომელმაც ბევრი ამაგი დასდო, რათა წარმოდგენებს მისცემოდა მხატვრული ხასიათი. შათირიშვილის მოღვაწეობის დროს, სახალხო სახლი მართლაც რომ ცოცხლობდა.

მაგრამ სახალხო სახლს დაეკარგა რეჟისორი. ულმობელმა სიკვდილმა უღროვოდ გამოსტაცა სახალხო სახლს მისი ერთგული ხელმძღვანელი კოტე შათირიშვილი. (გარდაიცვალა 1921 წელ.).

შათირიშვილის სიკვდილის შემდეგ სახალხო სახლი მიეცა ძილს. მხოლოდ 1922—3 წლის სეზონს ამჩნევია დიდი ხალისი. მოწვეული მთავარი რეჟისორი შალვა დადიანი ანახლებს რეპერტუარს, რომელიც იყო ერთფეროვანი, ტენდენციური და დროწარსული. მას შეაქვს რეპერტუარში ისტორიული, თარგმნილი და თანამედროვე—ორიგინალური პიესები, რომლებიც ჯერ არც კი დადგმულა ქართულ სცენაზე.

სახალხო სახლმა თავის ოცდა ათი წლის მოღვაწეობაში შექმნა თავისი რეპერტუარი. აი პიესებიც: „მსხვერპლი“ სოსო გედევანიშვილისა, „მეზობლები“ ტრ. რამიშვილისა, „იმედის დაღუპვა“ ჰაერსმანისა, „რაც გინახავს ველარ ნახავ“ აქვ. ცაგარლისა, „ქრისტინე“ ნინოშვილისა, „ტარტიუფი“ მოლიერისა, „ნომერი 21 ჯვრით“ ია ეკალაძისა, „მაღაროს მუშა“. „გამცემი“ გედევანიშვილისა, „ქართველი დედა“ ცაგარლისა, „აღლუმი“ გუნიასი და მრავალი სხვა.

სახალხო სახლის სცენის მოყვარეებმა დაიმსახურეს საზოგადოების ყურადღება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო გოცირიძე, სოსო რომანიშვილი, ალ. მეტრეველი, თავდგირიძე, ხახანაშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა, თამარ გოგოლაშვილი, ალექ. შანშიაშვილი, ბარათაშვილი და სხ.

ყველა ზემო ჩამოთვლილი პირნი ითვლებიან დღეს მსახიობებათ და თვით ნიკო გოცირიძე გადმოყვანილია აკადემიურ დასში პასუხისმგებელ როლების ამსრულებლად.

ქართველ მსახიობებს დიდი ამაგი მიუძღვის სახალხო სახლის მოღვაწეობაში, მაგალითად განსვენებული ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ელ. ჩერქეზიშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ლიზა მესხიშვილი, ეფემია მესხი და სხ. რამოდენიმე სეზონის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ ღებულობდნენ მონაწილეობას სახალხო სახლში.

როგორც აღვნიშნეთ, სახალხო სახლის სცენის მოყვარენი—მუშები იყვნენ. დილით დალალულნი მუშაობით, საღამოს მოდიოდნენ რეპეტიციებზე და ემზადებოდნენ წარმოდგენებისათვის სრულიად უსასყიდლოთ. დახმარება სახალხო სახლს წარსულში არასოდეს არა ჰქონდა და იგი ყოველთვის გაჭირვებას განიცდიდა. ბილეთების ფასი თითქმის არაფერს არ იძლეოდა, რადგან ადგილების ფასი იყო მცირე და ხშირად სცენის ხარჯსაც არ ფარავდა.

დღესაც სახალხო სახლის მდგომარეობა თითქმის იგივეა, რადგან მას არ უღალატნია თავის ტრადიციებისათვის. ფიზიკურ სახალხო ადგილების ფასი სახალხოა და არ ფარავს ტექნიკურ ხარჯებსაც.

მართალია მთავრობა ეხმარება სახალხო სახლს, მაგრამ ეს დახმარება არა სისტემატიურია, დროგამოშვებითი. სახალხო სახლი კი საჭიროობს აუცილებლივ სისტემატიურ დახმარებას. დროა, რომ სახალხო სახლის მუშაკნი გადაყვანილ იქნეს სახელმწიფო ჯამაგირებზე, რათა მთელი დრო და ენერგია მოანდომონ სახალხო სცენას.

ეს იქნება საუკეთესო საჩუქარი საქართველოს საბჭოთა მთავრობისაგან. მართალია დღეს მშრომელ ხალხს გაეღოთ კარები დიდ თეატრებშიაც, მაგრამ სახალხო სახლს კვლავ დიდი მნიშვნელობა აქვს მუშების ცხოვრებაში.

ვაშა ეროვნულ-მუშურ ხელოვნების ტაძარს სახალხო სახლს! გულწრფელი სალამი მათ მუშაკთ!

ქართველ-იმერელი.

კინოს არტისტები ტრესტების წინააღმდეგ. ამერიკული გაზეთების ცნობით, კინოს ცნობილმა არტისტებმა, ჩარლი ჩაპლინისა, მერი არკფორდის, ნორმოს და კონოტონს ტელმეპდის, ფერძენკომის და ლაიდის მეთაურობით ლოსანჯელოსში გამართეს თათბირი, კინემატოგრაფიული ტრესტების საწინააღმდეგო ორგანიზაციის შექმნის მიზნით. არტისტები სჩივიან, რომ ტრესტები მხოლოდ მოგებით არიან დაინტერესებული და სავსებით უყურადღებოთ სტოვებენ ხელოვნების ინტერესებსაო.

ა. დუნკანი. აისედორა დუნკანი ამერიკიდან ევროპაში გამომგზავრა, სადაც ის ინგლისსა და საფრანგეთში რამოდენიმე კონცერტს გამართავს, ხოლო შემდეგ კი მოსკოვში დაბრუნდება, მის დაარსებულ შკოლაში, სადაც ამ ჟამათ ინტენიური მუშაობა სწარმოებს.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ განცხადებას:

არსებულ ხელისუფლების დამყარებამდე მე ვირიცხებოდი სოც.-ფედერალისტთა პარტიაში 1908 წლიდან. 1921 წლიდან ჩემი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო საშუალება არ მქონდა მემუშავნა იმ პარტიაში, რომელიც მტკიცედ იცავს ეროვნულსა და მშრომელ მასის ინტერესებს. დღეს გამომჯობინების შემდეგ მსურს ვიმუშაო მემარცხენე სოც.-ფედერალისტების პარტიაში და პირნათლად შევასრულო ის მოვალეობა, რომელიც გამომდინარეობს სოციალიზმ-ფედერალიზმის პრინციპებიდან და რომელსაც მტკიცედ იცავს მემარცხენე სოც.-ფედერალისტები.

ფილიმონ ლეონტის ძე ლორთქიფანიძე.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ გაზეთ „ტრიბუნა“-ში დასტამბოთ შემდეგი:

სოც.-ფედერალისტთა პარტიის თანამგრძობი მუდამ ვიყავი, ხოლო აქტიური მონაწილეობა პარტიის მუშაობაში არ მიმიღია. დღეს კი მსურს ვიმუშაო მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში, რადგან ეს ერთად-ერთი პარტიაა საქართველოში, რომელიც იცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და მშრომელი მასის უფლებებს. ამიტომ დღეიდან მსურს ჩავირიცხო მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში.

ილარიონ პეტრეს ძე ბაქრაძე.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ „ტრიბუნა“-ს ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ჩემს განცხადებას:

დღიდან რევოლიუციისა მე თანაუგრძნობდი, როგორც მუშა, სოც.-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას, მაგრამ დღეს კი საბოლოოდ დარწმუნებული მასში, რომ მენშევიკების პარტია ყოფილა მხოლოდ ჩვენი მცარცვლების, კაპიტალისტების, მღვდლებ-მონაზნების პარტია და მათი ინტერესების დამცველი და არა ერისა და მშრომელ ხალხის, ამიტომ მე ვეწერები იმ პარტიის წევრთა რიგებში, რომელნიც მტკიცედ დგანან სოციალისტურ რევოლიუციის ნიადაგზე და მტკიცედ იცავენ ერისა და რევოლიუციის მონაპოვარს მშრომელთა საკეთილდღეოდ. ვიზიარებ რა სავსებით მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა მიერ აღებულ ხაზს და პლატფორმას, დღეიდან მსურს ჩავირიცხო მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში.

მუშა იახონ ზიქაშავიძე.

ქ. ქუთაისი.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ ჩემი განცხადება თქვენს გაზეთში:

სოც.-ფედერალისტთა პარტიის დაარსებიდანვე ვმუშაობდი მე ამ პარტიაში, ე. ი. 1905 წლიდან ვიდრე 1920 წლამდე (ვმუშაობდი სვანეთში, სამეგრელოში და იმერეთში) 1920 წ. კი პარტიაში „რასკოლის“ მოხდენის შემდეგ, მე ვრჩები მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა თანამგრძნობთა რიგებში. ვიზიარებ აღნიშნულ პარტიის მსოფლ-მხედველობას, სრული ჩემის შეგნებით, და განსაკუთრებით ვაფასებ მემარცხენე სოც -ფედერალისტთა მუშაობას ეროვნულსა და სოციალისტურ ფრონტზედ, მსურს ჩავირიცხო მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში.

ქუთაისის მერვე შრომის შკოლის გამგე:

გიორგი წიგნიკაძე.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ გაზ. „ტრიბუნა“-ში მოათავსოთ შემდეგი:

მე 1917 წლიდან ვმუშაობდი სოც.-ფედერალისტთა პარტიაში. პარტიაში მომხდარ განხეთქილების შემდეგ არც ერთ პარტიაში არ მიმუშავნია. დღეს დარწმუნებული მასში, რომ ერისა და მშრომელი ხალხის დამცველი არის მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტია, მსურს ჩავირიცხო მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში.

ნოქარი აკაკი კენჭაძე.

ქ. ქუთაისი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი
ს. ს. ს. რ.
მთავარი საკურორტო მმართველობა

მომავალ შესაკეთებელ სააღმშენებლო—ტექნიკური სამუშაოების გამო, საქართველოს სახელმწიფო კურორტების აღსადგენათ და სამრეწველო დაწესებულებათა ექსპლოატაციისათვის, საჭიროა შესაფერი მასალები: ლურსმები, სხვადასხვაგვარი რკინა, საღებავი, წყალსადენის და ელექტროული განყოფილებანი, ინვენტარი სანატორიებისა და საავათმყოფოებისათვის და სხ.

ამასთანავე მთავარ საკურორტო მმართველობას გასაყიდათ აქვს:

1) ბორჯომის წყალი,
2) ნახშირმჟავა გაზა (CO_2)
3) მიწის ჭურჭლეულობა,
4) სატყეო მასალა დახერხილი და დაუხერხავი.

წინადადებებით და შენაკვეთით მიმართონ მთავარ საკურორტო მართველობის საავჭროსამრეწველო ქვე-განყოფილებას (საპიორის ქ., № 30, ტელეფ. № 4—08)

№ 311—3—3

ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 176. საქართვ. უმაღლ. მეურნ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის სარდალს!

შენ არ მომკვდარხარ, მარადა სცოცხლობ,
ძეგლი დაიდგი უკვდავებისა;
არ დაგივიწყებს ერის სარდალსა
მშრომელი ხალხი შენი ერისა!

რასაც ნატრობდი, მასწავლებელო,
რა ცეცხლიც ენთო შენ სპეტაკ სულში,
და იდეალი საკაცობრიო
გადმოგენერგა მშრომელთა გულში!

რისთვისაც ჩაგწვეს ხანგრძლივ ბრძოლაში,
ეკლით დაგდაფნეს სიცოცხლეშია?
—მხოლოდ იმისთვის, რომ შუქსა ჰფენდი,
სიბნელით მოცულ ქართველ ერშია!

ხელში გეჭირა წითელი დროშა,
მშრომელთ ემბლემა, დროშა ბრძოლისა
რომ ზედ გეწერა: „ერთა კავშირი,
მკვდრეთით აღდგენა ყველა მონისა“!

აჰა სრულდება შენი ნათქვამი,
დღეს გამოფხიზლდა ყველა ქართველი,
ვინც ვერ გაგიგო დიდი აზრები
და ჩამოგადნეს როგორც სანთელი.

ჯ. ახალდაცი.



არჩილ ჯორჯაძე
(1872—1913)

არჩილის ხსოვნას

. . . და დღეს სრულდება მეათე წელი,
რაც რომ დავკარგეთ დიდი არჩილი;
მაგრამ ჩვენს სახეს ნაღველის ნაცვლად
ეალერსება ტკბილი ღიმილი...

ჩვენ არ ვიტირებთ გმირს გამარჯვებულს.
ერთად დავსძახებთ ბრძოლის სიმღერებს
და მტკიცე რწმენით ჩვენ საბრძოლველად
ვეძახით ყველა დაჩაგრულ ერებს!

არ დავხრით დროშას და მოწოდებებს
ავანთებთ სულის მაღალ ძახილით,
რომ ყველა ერის მასწრაფებაში
ისმოდეს ჩვენი გადაძახილი.

გვრწამს, რომ ვიხილავთ ცისფერ ტკბილ დარებს
და ჩვენი სული ეტრფის ბრძოლის ცეცხლს.
ქართველი ერი გულით ატარებს,
დიდო არჩილო, შენს წმინდა სახელს!..

დ. კობაძე.

არჩილის ნაწერებიდან.

ამონაწერები პარიზის „საქართველოდან“

„რევოლიუციამ წამოაყენა დიდებული კითხვა სოციალურ განაწლებისა და ჩვენმა თაობამ უნდა გადასწყვიტოს იგი იარაღით და თაგგანწირული ბრძოლით თავისუფლების და ერთობის მოსაპოვებლათ“.

1905 წ.

„ჩვენ უარვყოფთ პოლიტიკურ და ეროვნულ ხასიათის რევოლიუციას, თუ მას წინ არ უძღვება სოციალური ხასიათის მოძრაობა“.

1905 წ.

„სოფლის გაჭირვებამი ჩავარდნილი კლასი და ქალაქის მუშა ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან და თავიანთ სოლიდარული მოქმედებით თითქოს პასუხს.., აძლევენ იმ დოქტრინერებს, რომელნიც დაუინებით გაიძახიან: სოციალური რევოლიუცია მარტო პროლეტარიატმა უნდა მოახდინოსო“.

1905 წ.

„რევოლიუცია გამარჯვებული იქნება მაშინ, როდესაც მიწა და ყოველგვარი საწარმოო იარაღი მშრომელთა კავშირების ხელში გადავა, როდესაც საზოგადო მფლობელობის ნიადაგზე საზოგადოებრივი შრომა დამყარდება და როდესაც ამ სახით მოისპობა ადამიანთა შორის უთანასწორობა და ექსპლოატაცია“.

1905 წ.

„ჩვენ არ ვიწვევთ საქართველოს ყველა წოდების და კლასების შეთანხმებულ და გაერთიანებულ მოქმედებას. ამგვარი შეთანხმება შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია. ჩვენ მხოლოდ ამათი შეთანხმების იმედი გვაქვს, ვინც უარყოფს წოდებრივ და ბურჟუაზიულ კლასობრივ მოქმედების ნიადაგს და ვინც თავის ჭკუას, ზნეობრივ და ფიზიკურ ძალას საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის, ხალხის განთავისუფლების საქმეს მოახმარებს“.

1903 წ.

„ქართველი ხალხი ბურჟუაზიულ წესწყობილებასაც თავს დააღწევს და სოციალურ კომუნიზმის ნიადაგზე თავის ადამიანობას უკიდურეს წერტილამდი აამაღლებს“.

1904 წ.

„რუსულ რევოლიუციისა და რუსულ კულტურულ წრეში ქართველმა კაცმა ფეხი უნდა შესდგას, როგორც ქართველი კაცი, და არა როგორც უსახელო, უპირადო, ხორცის და ხიბლისაგან შეზავებული ადამიანი“.

1903 წ.

„სოციალიზმი უკვე თეორიის კითხვა აღარ არის, არამედ კითხვა პირდაპირი ძალია. მისი გადაწყვეტა პარლამენტით კი არ შეიძლება, არამედ ქუჩაზე, ბრძოლის ველზე“.

1904 წ.

„საქართველო“ იმ აზრის დამცველათ გამოვიდა, რომ სოციალისტურ წარმოების დამყარებისათვის სოფლის პროლეტარიზაციის და კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი აუცილებელი პროცესი არ არის. რა გამომდინარეობს აქედან, რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ამ დებულებიდან? ის დასკვნა, რომ წარმოების განსაზოგადოებრივებას დღესვე შეიძლება დადგას საფუძველი და ამიტომ უნდა შევისწავლოთ და გავითვალისწინოთ ის ეტაპები სოციალურ ევოლიუციისა და ის ფორმები სოციალურ წარმოებისა, რომელნიც ჩვენის აზრით, თანამედროვე კლასობრივ პრინციპებზე აშენებულ საზოგადოების დამარღვეველ ძალათ ინდა შეიქმნენ.

1904 წ.

„მიწის სოციალიზაცია დასაწყისი გახდება სოციალური რევოლიუციისა და ამიტომაც ვართ მისი მხურვალე დამცველნი“.

„ჩვენის ხალხის განვითარების ისტორია... პროგრესისაკენ მისწრაფების სწორ ხაზს სრულიადაც არ წარმოადგენს. ხაზი არსად არ სწყდება, ხოლო იგი ათასგვარად იკლაკნება და იგრიხება, ვინც ამ კლაკნას და გრეხას სიკვდილის სახელით ნათლავს, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს სიცოცხლის განვითარების კანონებზე“.

„დამონებულ ქვეყანაში, სადაც ეროვნული საკითხი ამ დამონებულ ხალხის ინტერესის მიხედვით კი არა სწყდება ინტელიგენციის მიერ, არამედ გარეშე მდგარ გაუმაძღარ სახელმწიფოებრივ მადის მიხედვით, ან თუ გინდ მბყრობელ ხალხის იდეალების მიხედვით, რომ ამისთანა ხალხში ინტელიგენცია უფსკრულის კიდემდის არის მისული და მისი გადაჩეხა უძირო ხვრელში გადაწყვეტილი საქმეა“.

„რევოლიუციის აზრი და სული ერთ პოლიტიკურ რეჟიმის დამხობაში და მეორეს აშენებაში არ არის. იგი დაშლა-დარღვევაშია, ძალმომრეკ ფორმებისა, სულ ერთია კონსტიტუციონალური ხასიათი აქვთ ამ ფორმებს თუ ავტოკრატიული“.

„ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმ შეხედულებისა, რომელსაც ავრცელებს სოციალ-დემოკრატების ერთი დიდი ფრაქცია, ვითომ, სოციალისტურ და დემოკრატიულ წესწყობილებათა შორის ძირითადი თვისებითი განსხვავება კი არ არის, არამედ ოდნაობითი; ვითომ დემოკრატიული რეჟიმი ევოლიუციის კანონის ძალით ნელ-ნელა უახლოვდება სოციალიზმს. ეს შეხედულება ცრუ შეხედულებად მიგვაჩნია. ამიტომ ვამბობთ, სოციალიზმის განხორციელების გზა—რევოლიუციაა“.

„მიწის სოციალიზაცია განხორციელდება რევოლიუციონურ ექსპროპრიაციის საშუალებით და კანონმდებლობის მეოხებით“.

„დემოკრატიული რეჟიმი, ჩვენის შეხედულებით არა სწყვეტს სოციალურს კითხვას, არა ბოლს არსებულ ეკონომიურ წინააღმდეგობას და კლასობრივ წყობილებას. ჩვენ დემოკრატიული რეჟიმის საშუალებით სოციალიზმს ვერ განვახორციელებთ“..

„რაც უნდა გასაჭირში ჩავარდეს ერი, საბოლოოდ სოწარკვეთილებას მაინც არ უნდა მიეცეს იგი. მისი სიცოცხლის ყოფნა არ ყოფნა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. და ამ შემთხვევაში ჩვენი მოვალეობაა თვით ერში, მის არსებულ ძალთა განწყობილებაში ვეძიოთ ხსნა და იმედი უკეთესის მოძავლისა. ერი უძლურდება და კვდება არა ბიოლოგიურ კანონის ძალით, არამედ სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის უვარგისობის გამო. ორგანიზაცია ერის ძალებისა არის უტყუარი ფარხმალი და გარანტია მისი არსებობა-განვითარებისა“.

„ჩვენის აზრით, სოციალიზმის განხორციელება კანონმდებლობის საშუალებით უქმი გარჯაა. და აი აქ იმალება უმთავრესი განსხვავება ჩვენსა და სოციალ-დემოკრატებს მორის...

ჩვენის მეხედულებით, თუ დემოკრატიული რეჟიმი გადამენდება სოციალიზმის ნესწყობილებად, იგი პროგესი კაპიტალის კონცენტრაციის ძალთა და პარლამენტის კანონმდებლობის საშუალებით კი არ მოხდება, არამედ ბურჟუაზიულ საზოგადოების დანგრევის წყალობით, რევოლიუციის საშუალებით“.

წიგნები დან

„დიდი და სერიოზული საკითხია მოწესრიგება ურთიერთობისა იმ ერთა შორის, რომელნიც მეზობლად სცხოვრობენ, მომწყვდეულები ერთ სახელმწიფოს ფარგალში. ვინც სცდილობს ამ საკითხის დიდმნიშვნელობის გაქარწყლებას, ერთა სოლიდარობის საქმეს ცუდ სამსახურს უწევს.

სოლიდარობის გრძნობა იბადება იქ, სადაც თანაბარ-უფლებიანობა სუფევს, პატივისცემა **პიროვნებათა** შორის, სულერთია ეროვნულია იგი პიროვნება, თუ კერძო. მაგრამ თუ მე პიროვნებამდე ვერ ავმაღლდი, სხვისი პატივისცემის იმედი არ უნდა მქონდეს. ერი, რომელსმც თავისი თავისა არა სწამსრა და რომელიც ვერ ამაღლებულა პიროვნებამდე, სხვისი წყალობის მოლოდინში ნუ იქნება. ვინც თითონ არ იცავს თავის ღირსებას, მისთვის თავს არავინ გამოიდებს. „ჩათლახ“ ადამიანს დერეფანში არავინ შემოუშვებს. ძალიან კარგად ვიცი, რომ ყოველივე ეს ეწინააღმდეგება სახარების იდეალს. მაგრამ ცხოვრების კანონი ერთია, სახარების კიდევ მეორე. ამ გარემოებას ვერავინ შესცვლის. და თუ ჩვენ, ცხოვრების შვილნი, სახარების წაქეზებით, სხვისი თანაგრძნობისა და სიყვარულის იმედით ვიქნებით, მალე ვაგვიცრუვდება ეს იმედი.

თუ ერი არა სცემს პატივს თავის თავს, მას არავისი პატივიცემის იმედი არ უნდა ჰქონდეს. თუ ერს არ ძალუძს თავისი უფლების მოპოვება და დაცვა, არავინ მისცემს ამ უფლებას და მის დარაჯად არავინ დადგება. **სოლიდარობა თანასწორუფლებიანთა შორის არის შესაძლებელი.** ერი ერს ჩასწიხლავს, როდესაც ერთი ამ ერთაგანში „ჯაგლაგია“, მეორე კი—მხნე და გამჭრიახი. **ერი ერს დაუმეგობრდება, როდესაც არც ერთს არ ექნება საშუალება ერთი ერთმანეთის დაჩაგვრისა** (ხაზი ჩვენია. რედ.)“

„ერის აღიარება პიროვნებად და სხვა და სხვა ეროვნულ პიროვნებათა ურთიერთობის მოწესრიგება **უფლებრივი ნორმებით,** ინტერნაციონალურ უფლებით—ეს აღიარებაა ორგანული პრინციპისა, **დადასტურებაა ავტონომიზმის და ფედერალიზმისა,** ხოლო უარ-ყოფაა ცენტრალიზმისა და ატომიზმისა“.

„ბ. ტეზრელის მოხსენებების შინაარსიდან სჩანს, რომ ის მოსურნეა რუსეთს მთლად ჩამოაშოროს საქართველო. საჭიროა ეს? ან შესაძლებელია, ეს ჩვენთვის? ამგვარ კითხვების განმარტების დროს ყოველთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ ხოლმე ხალხის კულტურულ განვითარების ევოლუცია. ამ ევოლუციას რომ დავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ ერები სოლიდარობისაკენ, თავისუფალ გაერთიანებისაკენ მიისწრაფვიან და არა განკერძოვებისაკენ. თუ სეპარატიზმი ერთად-ერთი და საუკეთესო საშუალებაა ერის განვითარებისა, მაშინ მესმის, ჩვენც უნდა მივიღოთ იგი. მაგრა ეს ასე არა არის. ავტონომიური, ხოლო პოლიტიკურად დამოუკიდებელი კანადა ან კიდევ ავსტრალია რითი ჩამოუვარდება, ვსთქვათ, პოლიტიკურად დამოუკიდებელ სერბიას ან ესპანიას? თანამედროვე პირობებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოს შენახვა და დაცვა ადვილი საქმე არ არის. გარდა ამისა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა პატარა სახელმწიფოებისა განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება ხალხს ეს პრინციპიალური მხარეა. ახლა კიდევ მხედველობაში რომ მივიღოთ რუსეთის სიდიდე და მისი პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება მომავალში, **ევროპის ინდიფერენტიზმი ჩვენდამი,** მხედველობაში რომ მივიღოთ ისიც, რომ ერთ პატარა სახელმწიფოს დაარსება კავკასიაში, სადაც ერი, სარწმუნოება და ენა ისე გადაება და აირია ერთმანეთში, იქნება მიზეზი მუდმივის შფოთისა, შოვინიზმისა და დავისა ამ ერთა შორის,—ყოველივე ეს რომ მივიღოთ მხედველობაში, სეპარატიზმზე ხელი უდა ავიღოთ. აღიარება თავისუფალ ფედერატიულ კავკასიისა—ეს სხვა კითხვაა. თავისუფალ ფედერატულ კავკასიას, რასაკვირველია, მეტი პრაქტიკული ნიადაგი აქვს მაგრამ ამ საგანს არ აყენებენ; უნდათ საქართველოს განთავისუფლება და კავკასიას არც კი იხსენიებენ. ამიტომ ჩვენ უნდა უარ ვყოთ სეპარატიზმის პრინციპი და სხვა გზით ვუშველო ჩვენ თავს. ახალ სახელმწიფოს დაარსება წინააღმდეგია კაცობრიობის ევოლუციისა, გაერთიანებისაკენ მიმართულ ევოლუციისა; ფედერატულ ავტონომიათა პრინციპი კი არ „ეწინააღმდეგება ამ ევოლუციას. აი მე რა მინდოდა მეთქვა. მე სეპარატიზმის წინააღმდეგი ვარ“.

„განა ჩვენ ის გვაწუხებს, რო ბრძოლა დაგვჭირდება? განა ავტონომია ციდან ჩამოვარდება ჩვენთვის? ვიცით, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია არ დაგვანებებს ამას ჩვენ. სრულიად გეთანხმებით, რომ ყოველ შემთხვევაში ბრძოლა დაგვჭირდება და ბოძოლისათვის უნდა მომზადებულნი ვიქმნეთ. ხოლო არ მესმის, რატომ უნდა ვიბრძოლოთ სეპარატიზმისათვის და არა ფედერალიზმისათვის? როგორც ვსთქვი, პოლიტიკური დამოუკიდებლობა კიდევ არ არის ის სანატრელი ფორმა, რომელშიაც კულტურული წინსვლელობა ნორმალურად მიმდინარეობს. ვიმეორებ დამოუკიდებელი სახელმწიფო მოითხოვს დიდძალ ხარჯს“.

„მაშ ყველანი სეპარატიზმის წინააღმდეგნი ვყოფილვართ. შემდეგ ვილაპარაკებთ პრაქტიკულ საშუალებებზედ ავტონომიის მოსაპოებლად. ხოლო ამ ამ ჟამათ ერთი რამ უნდა დაუმატო ჩემს ნათქვამს. თუ ჩვენ ისტორიული უფლებები გვაქვს, რასაკვირველია, ვისარგებლოთ ამითი. მაგრამ არც დიდი იმედები უნდა დავამყაროთ მათზედ. ისტო-

რიულ უფლებებს მაშინ აქვსთ მნიშვნელობა, როდესაც მათ ძალა უდევსთ სარჩულად. მე წინააღმდეგი არა ვარ ამ უფლებათა. ევროპაში საპროპაგანდოთ მათ მნიშვნელობა აქვთ.—მე ავტონომიის მომხრე ვარ, იმიტომ კი არა, ამის მოპოვებისათვის ისტორიული უფლება და ტრაქტატი გვაქვს, არამედ იმიტომ, რომ იგი ჩვენთვის, ჩვენის განვითარებისთვის ეხლა აუცილებლად საჭიროა. ამიტომაც ჩვენ უნდა ვეცადოთ ხალხის თვითცნობიერება გავაღვიძოთ ამისათვის".

„დემოკრატიული რეჟიმი, ჩვენის შეხედულობით არა სწყვეტს სოციალურ კითხვას, არა ხპობს არსებულ ეკონომიურ წინააღმდეგობას და კლასობრივ წყობილებას.

ჩვენ დემოკრატიულ რეჟიმის საშუალებით სოციალიზმს ვერ განვახორციელებთ.

„სოციალისტური პარტია უნდა ემზადებოდეს თავის მისიის ასრულებისათვის გამუდმებულ ბრძოლის საშუალებით. ბრძოლა უნდა იყოს მიმართული კერძო საკუთრების მეფობის წინააღმდეგ. სოციალისტურმა პარტიამ უნდა წამოაყენოს საწარმოვო **ყველა** იარაღთა სოციალიზაციის აუცილებლობა. ამ საქმისათვის პარტია უნდა ემზადებოდეს **დღესვე**".

„დემოკრატიზმის" ყოვლად შემძლებლობა ალარ გვწამს, და ვიცით, რომ სოციალიზმის განხორციელებას თავის დღეში ხელს ვერ შეუწყობს ის წესი, რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგება სოციალიზმს".

„პროლეტარიატის განთავისუფლება უნდა მოხდეს მისივე ძალღონით და **კლასიურ** ნიადაგზე გამართულ ბრძოლის საშუალებით. ეს არის დევიზი მშრომელი ხალხისა." სოციალისტურ პარტიების ინტელიგენცია კი არწმუნებს პროლეტარიატს, რომ მისი განთავისუფლების საქმე უნდა ჩაჰბარდეს ინტელიგენციას, დეპუტატებს, რომელნიც პარლამენტში (ბურჟუაზიულ **კლასიურ** დაწესებულებაში) დაიკავენ პროლეტარიატის ინტერესებს და რომელნიც პარლამენტში შემუშავებულ სოციალური რეფორმების საშუალებით განახორციელებენ პროლეტარიატის იდეალს. აქ არის ძირითადი წინააღმდეგობა პროლეტარიატის და სოციალისტურ ინტელიგენციის მისწრაფებათა შორის.

„სოციალ-დემოკრატია არაფერს ზოგავს ბურჟუაზიულ რესპუბლიკის დაფუძნებისათვის! და არც ერთ სოციალ-დემოკრატს არ მოსდის თავში უბრალო აზრი, რომ ის ამ სახით ბურჟუაზიას ემსახურება და არა პროლეტარიატს".

„აქ კი უნდა ავლნიშნოთ, რომ კომუნისტური წყობილება **იქნება განხორციელებული დეკრეტების ხაშუალებით კი არა,** არამედ თავისუფალ საზოგადოებრივ ძალების მიერ".

„ჩვენის აზრით, სოციალური რევოლიუცია ზევიდან კი არ დაიწყება არამედ ქვევიდან. იგი იქნება პირისპირი შეტაკება შრომისა და კაპიტალისა".

„აშკარაა ისიც, რომ სოციალიზმის განხორციელება სახელმწიფოს საშუალებით საოდავი უტოპიაა, თვით სოციალიზმის გარყვნა და დამახინჯებაა".

„ჩვენ ხომ ყველანი შევთანხმდით იმაში, რომ დღეს სოფელში მარტო ბატონ-ყმურ ნაშთების გაუქმება არ არის საკმარისი, რომ დღესვე საჭიროა ბრძოლა ბურჟუაზიულ ურთიერთობის, ბურჟუაზიულ კერძო საკუთრების წინააღმდეგაც".

„ჩვენ უკვე გაკვრით შევეხეთ ეროვნულ კითხვას და ვნახეთ, რომ ეროვნული კითხვა აუცილებლივ **სოციალიხტურ** კითხვას უნდა დაექვემდებაროს. სოციალიზმი **სამართლიანად სწყვეტს** ეროვნულ კითხვას"

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების ათი წლის თავზე.

საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების იდეა თავის თავად იგულისხმებდა ქართველი ხალხის ნაციონალ თავისუფლებასაც. მაგრამ განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ ნაციონალ პოლიტიკური თავისუფლების იდეა მჭიდროდ დაუკავშირა საქართველოში ხალიალიზმის განხორციელების იდეას ასე, რომ ერთის არსებობა თვინიერ მეორისა შეუძლებლად მიიჩნია. აი ამგვარი იდეოლოგიით გამოვიდა ხალიალ პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე განსვენებული არჩილი, როგორც საქართველოს ხალ.-ფედ.-სარეკ. პარტიის დამაარსებელი, რომელსაც ხალიალი საკითხების კადაჭრაში კაუქუილს გატეხილი ერჩია.

არჩილ ჯორჯაძე შვილი იყო ისეთი დედამამისა, რომელსაც მეფის მთავრობის დიდ მოხელეებთან ყოფნაში, მათთან ერთობაში ამოხდიოდა სული. ქართული ენა აღარ ისმოდა მათ ოჯახში. ოფიცრობა ხშირი ხტუმარი იყო არჩილის მამისა, რომელიც ყაზახთა კერძო რაზმის თავად ითვლებოდა. არჩილი უნდა გარუსებულიყო ასეთ გარემოებაში, მაგრამ დიდი ექვთიმე მთაწმინდელის ნების ყოფის და თავმოყვარეობის პატრონი გამოდგა. როგორც იმან გაბერძნება აიშორა თავიდან და დაახწია თავი გადაგვარებას და მოჰკიდა ხელი ქართულ მწერლობასა.

უეჭველია ნიჭი და შრომის უნარი არჩილს გააგებინებდა თუ, როგორ ჰგმინავდა ქართველი მშრომელი ხალხი, რომელსაც მძიმე ლოდად აწვა ფეოდალების ნაშთი და რუსთ ხელმწიფობის იმპერიალისტურ რუსიფიკატორული რეჟიმი, მაგრამ შეგნებული ამხანაგების კეთილნაყოფიერი გავლენაც უნდა განეცადა, რომ ქართულ მწერლობას და ქართველი მშრომელი ხალხის ბედისთვის ზრუნვას შეუდგა. რამდენი ხანი გადიოდა, იმდენი ეცლებოდა ნიადაგი საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით მეერთების ლეგენდას. ახე რომ 1900 წელს, როდა ლიხთ იმიერ-ამიერ თავადაზნაურობამ, ზეგარდმო პრძანებით, გაჰმართა რუსეთთან საქართველოს შეერთების ახი წლის იუბილე, ხოგ.-ფედერალისტების პარტიამ ბირველად დაიწყო არა ლეგალი მოქმედება და გამოუშვა საპროტესტო პროკლამაცია, ხოლო მას უკან, რაკი ცენზურის მიზეზით, შეუძლებელი გაჰხდა საქართველოში ხათანადო ჟურნალ-გაზეთის ბეჭდვა, არჩილ ჯორჯაძემ პატარა ჯგუფის თანამშრომლობით დაიწყო გამოცემა პარიზში ქართული და ფრანგული კვირეული გაზეთებისა, სადაც იბეჭდებოდა ხოგიალ-პოლიტიკური ხასიათის წერილები. განათლებულ მკითხველს ბირველად მიეცა შემთხვევა უშუალოდ გასცნობოდა საქართველოს ხოგიალ-პოლიტიკურ ცხოვრებას და რუსთხელმწიფობის ხულთამხუთავ რეჟიმს.

ხოგიალისტ რუსებთან ერთად ქართველმა ხოგიალისტებმაც მიიღეს თავგანწირული ბრძოლით მონაწილეობა რუსეთის რევოლიუციაში რომელიც სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. და დღეს რუსეთის პროლეტარიატთან ერთად საქართველოს პროლეტარიატსაც დაუარსებია მუშურ გლეხური სახელმწიფო.

ეს იყო უდიდესი ხაოცნებელი არჩილ ჯორჯაძისა, მაგრამ ვერ მოესწრო ჯერ კიდევ ჭაბუკი თავისი ოცნების სინამდვილად ქცევასა.

დაუვიწყარო არჩილ! მშობლიური ცა შეიქნა ყალობის მთოველი ქართველი მშრომელი ხალხისთვის, რომელიც ისე მხურვალედ გიყვარდა. მენი იდეის გამარჯვებამ მხუბუქად გიქნიოს დედა მიწა, რომელიც ისე დაგიმძიმა შავმა ხიკვდილმა!

პეტრე მირიანაშვილი.

არჩილის პატრიოტიზმი

პატრიოტთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში ლეგიონია.

ჭეშმარიტი პატრიოტი კი მეტად იშვიათია.

არჩილი საღათას ძილს მიცემულ ქართველ ერს—ყიკინით აღვიძებდა. არჩილის ნააზრევში გარდატყდა ჩვენი ხალხის საუკუნეთა ტანჯვანი. იგი შეიქმნა **მემკვიდრე** ქართველი აზრის. აი ეს გახდა მიზეზი დიდი ბრძოლისა, რომელიც მის და ნოე ჟორდანიას შორის წლეების განმავლობაში სწარმოებდა. ნ- ჟ—ას ვერ შეუთავსებია ერი და სოციალიზმი. არჩილს არამც თუ ანტიპოდიურ მოვლენებათ მიაჩნია ეროვნება და სოციალიზმი, პირიქით, მას სწამს, რომ ერს ამაგრებს და ამტკიცებს სოციალიზმი. არა ერი სოციალიზმისათვის, არამედ სოციალიზმი ეროვნებისათვის—აი ფილოსოფია არჩილის მოღვაწეობის.

სოციალიზმი არჩილისათვის ის პოხიერი ნიადაგია, რომელიც თვალწარმტაც სურათს გადუშლის ჩვენი ერის მომავალს, რომელიც აღორძინების გზაზე დააყენებს ჩვენს მშრომელ ხალხს.

ნ. ჟორდანია სოციალიზმის პატრიოტი იყო და ამიტომ ნაციონალიზმის მტერი. არჩილ ჯორჯაძე პატრიის (სამშობლოს) პატრიოტი იყო და ამიტომ სოციალიზმის მოხხრერეც.

არჩილის მოღვაწეობის მთავარი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ ის მუდამ ამტკიცებდა სოციალიზმი ეროვნების მტერი არ არის და ეროვნება კიდევ სოციალიზმის.

ნ ჟორდანია ინტერნაციონალიზმის (?) სახელით უარყოფდა ნაციონალიზმს. არჩილი კი ნაციონალიზმით მიდიოდა ინტერნაციონალიზმისაკენ.

მაგრამ არჩილის 10 წლის გარდაცვალების თავზე აღსანიშნავია, რომ არჩილი ეროვნულ პროგრამას მარტო თეორიის საგნათ არ ხდიდა. ის ყოველთვის ერის სამსახურს პრაქტიკულ ნიადაგზე აყენებდა. იგი ეძებდა ასპარეზს ეროვნულ პრაქტიკულ მოღვაწეობისას.

ქართული ენის და კულტურის დაცვა,-აი მოარიგი ამოცანა და ყოველდღიური ბრძოლის საგანი არჩილისათვის

ჩვენს მასწავლებელს

(არჩილის ხსოვნას).

არჩილი და საქართველო,—საქართველო და არჩილი! ასე ვახასიათებდით მას ყოველთვის და ყველგან და ასე ვიხსენიებთ დღესაც.

დიაღ, დღესაც, როდესაც საჭირო არის ისეთი ადამიანი, რომელიც დაამშვიდებს ქართველი ხალხის სულსა და გულსა.

არჩილის გარდაცვალების ერთი წლის თავზე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში"-ს 1914 წ. № 3-ში ვინმე **ობოლი** სწერდა:

„მოკვდა არჩილი, მხოლოდ იხე, რომ მოასწრო აღთქმის შეკვრა და იგი აღთქმა,—ჩვენ გაიმოგვეცა აღსასრულებლად... დღეს შეხრულდა წვალიწადი, რაც მოგვტაცა სიკვდილმა არჩილ ჯორჯაძე. **დღეს კვლავ უგალობენ მას გულგახაგმირ „სულთათანას"**, (ხაზი ჩვენია დ. მ.) დღეს კვლავ კვნესით მუხლს მოიხრის მთელი საქართველო არჩილის ხსოვნის წინაშე, მაგრამ გვაქვს-კი იმდენი ვაჟკაცობა, ჩვენს თავს შევეკითხოთ:—ვასრულებთ არჩილის დანაბირებს? ვითვალისწინებთ მის აღთქმას?—თუ ჰო—იმედია! თუ არა—ვაი შენ, ერო უბედურო!!!"

და დღეს როდესაც არჩილის 10 წლის გარდაცვალების თავზე ვიგონებთ მის უკვდავ **სახელს. ადამიანს,** რომელიც გზა აბნეულ და წყვდიადით მოცულ ერს მოევლინა როგორც მანათობელი ლამპარი, **ობოლივით** გვინდა ჩვენს თავს ერთი წუთით შევეკითხოთ:—

— ვასრულებთ მართლა არჩილის აღთქმას?

თუ ჰო—იმედია!

თუ არა—ვაი შენ, ერო, გზა დაბნეულო!

— **ერი და სოციალიზმი**!—აი არჩილის აღთქმის ძირითადი პრინციპები!

არჩილი უბრალო „ობივატელი" კი არ იყო ხოგიალიზმ-ფედერალიზმის და ერის თვით გამოოკვეთის საკითხში, არამედ ის იყო საქართველოში დიდი რაინდი ხოგიალური პოლიტიკისა.

ქართველი ხალხი კი თავის რაობამ ვერ გამოერკვია და არჩილის აღთქმა მხხვეერპლი გახადა თავზედი პროპაგანდისა.

მაგრამ არის მომენტები, არის ისეთი ისტორიული აუცილებლობის უღმობელი კანონები, რომელიც ფანატიკოსებს არა თუ ქმდს აზრეკინებს, არამედ ბირველ რიგებში აყენებენ იმ მცნებას, რომლისთვისაც არჩილ ჯორჯაძის რეგოლიუციონური პარტიის რიგები მთელი ოცდა ხუთი წლის განმავლობაში იბრძოდნენ და იბრძვიან დღესაც.

ჩვენ კვლავაც ვიბრძოლეთ იმ დროამდე, ვიდრე არჩილის ხოგიალიზმ-ფედერალიზმი არ გატარდება მხოფლიო მაშტაბით.

ვიბრძოლებთ იმიტომ, რომ ჩვენ **არჩილს** აღთქმა მივეცით!

იყვნენ ჩვენში და დღესაც არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ძალით იბრძვიან თვალებს და ჰგონიათ, რომ არჩილი ვიწრო ნაციონალისტი იყო და საქართველოს მეტი მას არაფერი არ აინტერესებდა, მათ ან გაგების უნარი არა ჰქონიათ, ანდა არ წაუკითხავთ არჩილის ნაწარმოები; ხაიდანაც დაინახავდნენ, რომ არჩილს ქართველი ერის გარეშე უაღრესად ეინტერესებოდა მხოფლიოს მასშტაბში დამონებული ერების განთავისუფლებაც, რაც ნიშნავდა მშრომელი ხალხების განთავისუფლებასაც, რომელიც მიმართული იქნებოდა იმპერიალიზმის და ბურჟუაზიის წინააღმდეგაც.

მაშ რას უწუნებდნენ და რისთვის ებრძოდნენ არჩილს ძისი პოლიტიკური მტრები? იმიტომ რომ ის ცენტრალისტი არ იყო? კეთილი, მაგრამ ცენტრალისტებმა ხომ „ცენტრალიზმს" გვერდი აუარეს და ნაცვლად ამისა ზოგნი თვით ხეპარაციის აღიარებამდე მივიდნენ და ზოგნი კიდევ ხოციალიზმ-ფედერალიზმამდე?

მაშ რაშია საქმე?

ნუ თუ ერთა მოძრაობამ ჯერ კიდევ ვერ დააჯერა ბევრი გულუბრყვილო, რომ მომავალი ხალხთა ცხოვრება ფედერაციის ფორმების გარეშე შეუძლებელი და მოუწყობელია?

ნუ თუ ვინმეს ჰგონია, რომ სახელმწიფოს შინაარსს დავიწუნებთ და მუშათა კლასის დიქტატურას უარყოფთ? მწარე თავის მოტყუება იქნება ასეთი ფიქრი და პირიქით;—არჩილ ჯორჯაძის პირტია მთელი თავისი ენერგიით დაეხმარება იმ მთავრობას, რომელიც მუშათა კლასის დიქტატურას განამტკიცებს ეროვნულ ფარგლებში, ფედერაციის პრინციბის დაცვით.

ასეთი იყო არჩილის აღთქმა ჩვენდამი და ჩვენც შევფიცეთ...

შენ კი დიდო მასწავლებელო, ბრძოლაში დალიე სული და ეს ახეც უნდა მომხდარიყო; ისტორიას ახსოვს ისეთი მაგალითები, როდესაც დიდი მოაზროვნე ადამიანების ხიცოცხლე ტრაგედიებით დათავებულა, მაგრამ დროთა გითარებაში მათი მცნება გამარჯვებული გამოსულა.

ჩვენ, შენი იდეის მატარებელნი, კვლავ განვაგრძობთ საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლას და ამ ბრძოლის პროცესში ვეცდებით გავაგებინოთ ქართველ ხალხს შენი გულის ნადები.

ახოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

მარად უკვდავ არჩილის ხსოვნას.

მეტად სამწუხარო და სევდის მომგვრელია დღევანდელი დღე ჩვენთვის.

ყოველი გულწრფელი და პატიოსანი ქართველი განურჩევლად მისი მსოფლმხედველობისა მწუხარებით აღნიშნავს არჩილის დაკარგვას.

ბაგრამ ის შეგნება, რომ არჩილმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მშრომელთა საქართველოს განთავისუფლების მზეს, რომ მისი ნააზრევი-სანუკვარი ოცნება ფრთებს ისხამს და რეალობად იქცევა, რომ მან საქართველოს ღვიძლმა შვილმა გაუგო თავის მშობელს სატკივარი და ჩვეული შორსმჭვრეტელობით უჩვენა მას სწორი და უტყუარი გზა მომავლისაკენ სასვლელი,—სწორედ ეს მტკიცე რწმენა გვიმატებს ძალას, ენერგიას და გვიცხოველებს სურვილს ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნის ასაღორძინებლად.

არჩილს არასოდეს არ ამოქმედებდა თვის განდიდების სურვილი; არც პარტია დაუსახავს მას ფეტიშად.

ამიტომ იყო რომ ის მოუწოდებდა სხვა და სხვა ჯგუფებს გაერთიანებისაკენ:—გამოენახათ საერთო-სამოქმედო ასპარეზი. ეს გზა იყო, არის და მომავალშიც დარჩება—სოციალიზმ ფედერალიზმის ბილება, მისთვის ბრძოლა.

ერთ წუთს რომ დავივიწყოთ არჩილის პოლიტიკური მნიშვნელობა და ძალა, თქვენ დაგაინტერესებთ ის, როგორც პიროვნება; მაღალი ზნეობრივად—სპეტაკი და კეთილშობლური გრძნობებით გამსჭვალული იყო ის.

თავის დაწვრილმანებულ მოკამათეებს არჩილი უპირისპირებდა სად და პირუთვნელ კრიტიკას.

ეხლა, როდესაც არჩილის მოძღვრება განხორციელების პროცესშია და თეორიულ ხასიათის საკითხები პრაქტიკულად ისმებიან, ჩვენ, მის ღირსეულ მემკვიდრეთ, გვმართებს დიდი შრომის, დიდი ენერგიის გაღება.

ჩვენ მეტად მძიმე, რთულ და საპასუხისმგებლო პერიოდში შეგვიხდა საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა. ათასგვარი ცილისწამება, ტალახში ამოსვრა, შებღალვა, პრესტიჟის დაცემა, გინება და სხვა,—რით შეხვდა საქართველოში მომქმედი პოლიტიკური ჯგუფები წარსულში ჩვენს პარტიის გამოსვლას, ხოლო ახლა იმასვე იმეორებს ჩვენი ყოფილი ამხანაგები.

ასეთ ხერხს და საშვალებას ჩვენ არ მივმართავთ. დეე, ამგვარი ბრძოლის მეთოდი მათთვის დაგვილოცნია. ჭორებს და ინსინუაციებს მხოლოდ განსაზღვრულ დროის განმავლობაში შეიძლება ექნეს გასავალი, ბურუსი ჩქარა ქრება, ხოლო სიმართლე და ჭეშმარიტება თავისას მეტყველებს.

ასეთ შეურაცხყოფას და შეგინებას ყურადღებას არ ვათხოვებთ, იმ მტკიცე რწმენით და შეგნებით, რომ ვიბრძვით, ვმოქმედებთ მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

ჩვენს მხცოვან მასწავლებელს მოწიწებით ვიხსენიებთ დღეს.

მარად უკვდავი იქნება არჩილის ხსოვნა, ნისი სახელი, როგორც უკვდავია ეროვნება და ქართველი ერი.

ვ. ჯაში.